სპორტი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 ივლისი 2000 №139 (1161) | ფასი 50 თეთრი

საშველი არ არის

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ტორპედო ცრვენა ზვეზდას რომც გაეყაროს, კიევის დინამოს შეეყრება

ორი ამბავი: კარგი და ცუდი. ორივე გუშინ შვეიცარიული ნიონიდან ანუ უეფას შტაბ-ბინიდან მოვიდა. წესის თანახმად, ჯერ ცუდი ვთქვათ...

ქუთაისის „ტორპედოს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ისედაც მწირი შანსი გუშინ თითქმის ნულად იქცა — თუ ჩვენი ჩემპიონი სასწაულს მოახდენს და „ცრვენა ზვეზდას“ მოუგებს, ლიგის კარიბჭესთან მისი მეტოქე კიევის „დინამო“ იქნება.

ახლა კარგიც ვახსენოთ. უფრო სწორად, ამ ამბავს მეორე მხრიდანაც მივუდგეთ:

თუ იუგოსლავიის ჩემპიონმა ძალიან გაგვამწარა, კახი კალაძისა და გიორგი დემეტრაძის სახით რევანშის შანსი გვრჩება.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ჩემპიონის შანსებზე ამგვარად საუბარი გვიწევს, მაგრამ რეალობა ასეთია და ვერსად გავექცევით — თვით სააგენტო „როიტერმაც“ ასე გადმოგვცა: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კიევის „დინამოსა“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ მატჩები იქნებაო. კი დააყოლა, თუ „ცრვენა“ „ტორპედოს“ მოუგებსო, მაგრამ...

ყველაზე დიდი ინტერესი ინგლისურ-გერმანულმა წყვილმა „ლიდსი“ — „მიუნხენ 1860“ გამოიწვია. „ცხადია, სხვა, უფრო სუსტი გუნდი გვერჩივნა, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ასეთ მეტოქესთან გამოჩნდება, ვართ თუ არა მზად ლიგისთვის“ — თქვა იორკშირული კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმა. მისი მიუნხენელი კოლეგა უფრო პესიმისტურადაა განწყობილი: „უარესი რაღა უნდა მომხდარიყო. „ლიდსი“ ძალიან ახალგაზრდული, დინამიური გუნდია და ფავორიტიც, უეჭველად, სწორედ ისაა“.

ამათ გარდა ლიგაში შესასვლელ, მესამე გადამწყვეტ ეტაპზე კიდევ რამდენიმე ცნობილი კლუბი ითამაშებს: უეფას თასის წლევანდელი მფლობელი „გალათასარაი“, იტალიური „მილანი“ და „ინტერი“, შოტლანდიური „რეინჯერსი“ და ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების ფინალისტი „ვალენსია“.

„მიუნხენ 1860“-ის პრეზიდენტმა კარლ ჰაინც ვილდმოზერმა და „ლიდსის“ თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა (მარჯვნივ) ერთმანეთს კომპლიმენტები არ დაუკლეს

REUTERS ნიონიდან

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა
პირველი მატჩები 8 და 9 აგვისტო, საპასუხო — 22 და 23 აგვისტო

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჰაპა (ფინეთი) ან ინტერი (სლოვაკეთი) — ლიონი (საფრანგეთი)
დინამო (კიევი, უკრაინა) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) ან ტორპედო (ქუთაისი, საქართველო)
ინტერი (იტალია) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) ან ბატე (ბელარუსი)
დინამო (რუმინეთი) ან პოლონია (პოლონეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი) ან ლევსკი (ბულგარეთი) — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)
შტურმი (ავსტრია) ან ჰაპოელი (ისრაელი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)
ზიმბრუ (მოლდოვა) ან მარიბორი (სლოვენია) — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) ან ანორთოსისი (კვიპროსი) — პორტუ (პორტუგალია)
შახტარი (უკრაინა) ან ლევადია (ესტონეთი) — სლავია (ჩეხეთი) ან შამქირი (აზერბაიჯანი)
ჰერფიოლგე (დანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) ან ჟალგირისი (ლიტვა)
ბრონდბიუ (დანია) ან რეიკიავიკი (ისლანდია) — ჰამბურგი (გერმანია)
ჰაიდუკი (ხორვატია) ან დუნაფერი (უნგრეთი) — შელბურნი (ირლანდია) ან რუსენბორგი (ნორვეგია)
ტიროლი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი)
ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — მიუნხენ 1860 (გერმანია)
სენტ გალენი (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი)
მილანი (იტალია) — დინამო (ზაგრები, ხორვატია)

რა მოხდება ხვალ?

რა არ მოხდება არასოდეს: ბარსელონა რეალს ფულს არ გადაუხდის

ფიგუს „რეალში“ წასვლამ ლუის ბასატის შანსები გაზარდა

ხვალ „ბარსელონას“ პრეზიდენტის არჩევნებია. ხუან გასპარმა და ლუის ბასატმა დაპირებათა მარაგი ამოწურეს და ახლა შედეგებს ელიან.

დაპირებები კი მრავალი იყო — ზინედინ ზიდანი, ხერარდი, ალფონსო, ემანუილ პეტი, მარკ ოვერმარსი, ივან დე ლა პენია... ბოლოს გასპარმა „მოკრძალებით“ რონალდოც ახსენა.

მაგრამ ეს ყველაფერი დაპირებებია. რეალური მხოლოდ ერთი რამ არის — „ბარსელონამ“ ფიგუ დაკარგა. ლუის ბასატი ხმამაღლა როგორ იტყვის, გულში კი ალბათ ხარობს — ფიგუს „რეალში“ წასვლა ხუან გასპარს ხმებს დააკარგვინებს, ესე იგი მას შეჰმატებს.

გასპარი კი იხტიბარს არ იტეხს. ფეხბურთელებს მისთვის უთხოვიათ, ეგებ რამე ვიღონოთ, ფიგუ „რეალიდან“ უკან დავაბრუნოთო. გასპარის პასუხი ასეთი იყო — „რა, „რეალს“ ფული გადავუხადო? ეს არასოდეს მოხდება“.

ხუან გასპარი

იხილეთ მეხუთე გვერდი

ჯელაძეს ბულგარეთში გასინჯავენ

გიზო ჯელაძე

25 წლის ქართველი ნახევარმცველი გიზო ჯელაძე ბულგარეთში ჩავიდა და იქაურ „ლევსკიში“ ისინჯება.

სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივის“ შემტევი ნაჯვარმცველი ბულგარეთში „ლევსკის“ მთავარი მწვრთნელის, ვლადიმირ ფედოტოვის მიწვევით იმყოფება.

„ლევსკი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპების მოგებას და ლიგაში მოხვედრას გეგმავს. ამიტომ გამალებით ეძებენ სასურველ მოთამაშეებს.

ბულგარელები თურქულ „ბეშიქთაშთან“ სათამაშოდ ემზადებიან. თანაც ახალწვეულებსაც არჩევენ. ვერ გეტყვით, მოასწრებს თუ არა გიზო ჯელაძე, ლევსკელებს მანამდე მოაწონოს თავი, მაგრამ ფაქტია, ჩვენებურმა ბულგარელები ძალიან დააინტერესა.

იქაური ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რამდენ ხანს აპირებს ჯელაძე ლევსკიში დარჩენას, გიზომ უპასუხა, რამდენ ხანსაც მწვრთნელი მოინდომებსო.

შეგახსენებთ, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ჯელაძეს სოხუმის „გორდაში“ და „სუბტროპიკში“, ასევე „ცხუმში“ უთამაშია. მერე იყო თბილისური გუნდები — „ანცი“, „შევარდენი 1906“ და „დინამო“.

თავის დროზე ჯელაძეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია. ბოლო დროს დაუძლურებული „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო.

დათო დანელია

მივიდა, იჩხუბა, წაიგო

სწორედ ასეთი სამსვლიანი კომბინაცია გააკეთა აზერბაიჯანულმა „ხაზარმა“, რომელიც გუშინ რუსთავს სტუმრობდა. „გორდამ“ ტრადიცია არც წლეულს დაარღვია და თავისთან საპაექროდ მორიგ აზერბაიჯანულ გუნდს უხმო. „ხაზარში“ ორი რუსთაველი ფეხბურთელი თამაშობს — გია თვალაბეიშვილი და კახა ძებისაშვილი. ჰოდა, ადვილი მისახვედრია, ამ ორ გუნდს შორის კონტაქტი როგორც შედგა.

მატჩი უშეღავათო გამოდგა. შელახულ და „სამართალში მიცემულ“ ფოლადის“ საფარზე პირველი წუთებიდანვე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. სტუმრები უხეშობასაც არ თაკილობდნენ და ექიმის მოვალეობის შემსრულებელი „გორდას“ წარმომადგენელიც წყლის ბოთლით რამდენჯერმე ჩაერთო საქმეში. პირველი ნახევარი 0:0 დასრულდა. მეორე ტაიმში კი მასპინძელთა უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა და სტუმრებმაც უხეშობას უმატეს. ამას მოწინააღმდეგეთა შორის კამათი მოჰყვა. მდგომარეობა რუსთაველი დავით მენთეშაშვილის გოლის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა. აზერბაიჯანელები აშკარად საჩხუბრად განწყვნენ. თანაგუნდელთა დაწყნარება ძებისაშვილსა და თვალაბეიშვილსაც უჭირდათ, მერე კი რუსთაველმა არბიტრმა ინდუაშვილმა „ხაზარის“ კარში ასპროცენტიანი თერთმეტმეტრიანი დანიშნა (რომელიც მოგვიანებით გიორგი კილასონიამ გოლად აქცია) და მონასტერიც აირია. ხაზარელები რუსთაველ მსაჯს მისცვივდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. თანაქალაქელ არბიტრს უკვე ფეხბურთელები გამოექომაგნენ და მოშუღარნი დროზე რომ არ დაეშშინებინათ, გვარიანი ჩხუბიც ატყდებოდა. ასე თუ ისე, მატჩი რუსთაველთა გამარჯვებით დასრულდა (2:0), სტუმრებს კი ხეირიანად არც კი გამოუცვლიათ, ისე ჩასხდნენ ავტობუსში და შინისაკენ გაემართნენ.

პაატა ძვანტალიანი

ჯანი არ ამბობს, ჯანი კმაყოფილია

„ბათუმს“ მწვრთნელი დაუბრუნდა — ჯანი კარნევალი, რომელიც იტალიაში იყო პირადი საქმეების გამო 19 ივლისს ბათუმში ჩავიდა და გუნდმაც მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება. როგორც თავად განაცხადა, კმაყოფილია თანაშემწეების მუშაობით, მათ ყველაფერი ისე გააკეთეს როგორც დავალებული მქონდაო.

კარნევალი ბათუმს შვეიცარიიდან ჩავიდა, თან ამირან მუჯირის შვეიცარიისვე „არაუში“ გადასვლის ამბავი გაარკვია — რაკი ის ჩემთან ერთად არ გამოემგზავრა, ესე იგი მუჯირი „არაუში“ რჩება — უთხრა მწვრთნელმა „ბათუმის“ ხელმძღვანელობას.

დღეს „ბათუმი“ ძირითადი და მეორე შემადგენლობით, ბათუმსა და გონიოში თურქეთის „ხოფასფორს“ უნდა ეთამაშოს, რომელიც სეზონისწინ სწორედ ბათუმში ემზადება.

„ბათუმს“ მოსამზადებელ პერიოდში ოთხი ფეხბურთელი დაუშავდა — აფხაზავა, რომანაძე, მჟავანაძე და ბესიკ შენგელია ფეხის ტკივილს შეუწუხებია.

ნიკა ტოგონიძის სხვა კლუბში გადასვლა კი „ბათუმის“ პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძის თქმით, უახლოეს დღეებში გადაწყდება — კარიერას ან უცხოეთში გააგრძელებს ან „ბათუმში“ დარჩებაო — გვითხრა მან. ის კი ისევ უცნობია, რომელი არგენტინული კლუბი ეპატიჟება ქართველ მეკარეს.

კოგა ინასარიძე

ფოცხვერია დეკემბრამდე დარჩება

მიხეილ ფოცხვერია

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა მიხეილ ფოცხვერიამ გუშინ უკრაინის უმაღლესი ლიგის კლუბ დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან“ ოფიციალური კონტრაქტი გააფორმა. ფოცხვერია „დნიპროში“ ხელშეკრულების მიხედვით პირველ დეკემბრამდე უნდა დარჩეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, მან ამ გუნდში უფრო დიდხანს დაჰყოს. ეს ინფორმაცია გუშინ თბილისის „მერანის“ პრეზიდენტმა დავით ფურცელაძემ მოგვაწოდა.

ფოცხვერია, რომ ბოლო ხანს „დნიპროში“ ვარჯიშობდა, ამაზე უკვე ვიუწყებოდით, თუმც მაშინდელი მონაცემებით მიშას ამ კლუბის ღირსება სექტემბრამდე უნდა დაეცვა. როგორც ჩანს, უკრაინელებმა უფრო ხანგრძლივი კონტრაქტის დადება მოისურვეს, წინააღმდეგნი არც თავად ფეხბურთელი და მისი მენეჯერი ვოვა ჩერქეზოვი ყოფილან.

ფოცხვერიას „დნიპროს“ მაისურის მორგება მომავალ ტურშივე შეეძლება.

უკრაინაში გაზრდილი ქართველი კვლავაც თბილისის „მერანის“ საკუთრებაა. ავჭალელებმა იგი ოთხი თვით გაანთხოვრეს, თუმც სანაცვლოდ ერთ თეთრსაც ვერ მიიღებენ.

„მიშა ჩვენი ახლობელია, გვსურდა, ყველანაირად დავხმარებოდით და შევძელით კიდეც“ — აღნიშნა ფურცელაძემ, რომელიც „მერანის“ სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა.

„გუნდი ბოლომდე ჯერაც არ დაკომპლექტებულა, შეკრებაზეც ამიტომ ვერ მივდივართ, თუმც უახლოეს დღეებში ყველაფერი მოგვარდება. შეკრების ადგილს ალბათ შევცვლით. ლაგოდეხის ნაცვლად ბიჭვებს ზღვაზე მოვამზადებთ, ურეკში ან ქობულეთში“ — თქვა პრეზიდენტმა.

ვანო ოქროპირიძე

ჯონი შალამბერიძე ვარჯიშს შეუდგა

ახლა ჯონიც ჯანზეა

საქართველოს ჩემპიონის „ტორპედოს“ უცხოური შეკრება დასასრულს მიუახლოვდა. ზეგ დილით ქუთაისელები ბულგარულ ალბენას დაემშვიდობებიან და გეზს იუგოსლავიისაკენ აიღებენ. კარგად მოგეხსენებათ, დამდეგ ოთხშაბათს „ტორპედოს“ ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო, 2000-2001 წლის ამ ტურნირის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა ექნება იუგოსლავიის უძლიერეს და ევროპაში ერთობ პოპულარურ კლუბთან ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“.

შავიზღვისპირა კუურორტზე ყოფნით, საუცხოო პირობებით ქუთაისელები ამ ზამთარშიც კმაყოფილნი დარჩნენ და, როგორც ჩანს, იქაური ზაფხულის თაკარა სიცხესაც შეეგუენ. საწვრთნელი პროცესი ნორმალურად, დასახული გეგმის მიხედვით მიმდინარეობსო, გვაიმედებენ ალბენადან. ტორპედოელები იქ ორჯერადად ვარჯიშობენ. მაღალ დატვირთვებს, ასე თუ ისე, ყველა უძლებს. უძლებს ჰქვია, თორემ ქანცგაწყვეტილ ბიჭებს თურმე პლაჟისკენ გახედვაც არ უნდათ, გართობას დასვენება ურჩევნიათ. ქუთაისელთა ახალწვეული კოლხი ჯონი შალამბერიძეც ჯანზე ყოფილა. ამ ფეხბურთელს ალბენაში ჩასვლისთანავე თავის ტკივილი დაეწყო. სამედიცინო გამოკვლევამ მენინგიტის ნიშნები დაუდგინა. შალაბერიძე ადგილობრივ საავადმყოფოში გადასაყვანი შეიქნა. იქ მას უმაღლეს დონეზე უმკურნალეს და ერთ კვირაში ჯონი მოვარჯიშეებს შეუერთდა.

პირველი საკონტროლო მატჩი ბულგარეთში ქუთაისელებმა, როგორც ვიუწყებოდით, ვარნის „სპარტაკთან“ გამართეს. „ტორპედომ“ თენგიზ სიჭინავას გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა უმაღლესჯგუფელი გუნდი. 15 ივლისს „ტორპედო“ ალბენადან ბურგასს ჩავიდა და მეორედივიზიონელს, იქაურ „ჩერნომორეცს“ ეთამაშა შერეული შემადგენლობით. მასპინძლებმა 2:0 მოიგეს ეს შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ შუა მეორე ტაიმში იონანინიძეს 11-მეტრიანი გაუცუდდა. ორ დღეში ეს გუნდები კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ამჯერად ალბენაში და... 1:1. ტორპედოელთაგან ვაჩიბერაძემ გაიტანა (პენალტიდან).

და ისევ იუგოსლავურ თემაზე. 19 ივლისს „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი ბელგრადში გახლდათ. იგი „ცრვენა ზვეზდას“ და ფარერების „კლაკსვიკარს“ შორის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სპასუხო მატჩს დაესწრო, მატჩს, რომელშიც იუგებმა, შეიძლება ითქვას, ნახევარი ძალით ითამაშეს და მხოლოდ 2:0-ს დასჯერდნენ (სტუმრად „ცრვენას“ 3:0 ჰქონდა მოგებული). ზემოთ ვთქვით, „ტორპედოს“ 26 ივლისს უწევს „ცრვენასთან“ თამაში. ჰოდა, დავით ყიფიანი ხვალ დაასახელებს იმ 18 ფეხბურთელს, ვისაც ბოლომდე ენდობა და ბელგრადში იახლებს. დანარჩენთ, ალბათ, ხვალვე მოუწევთ ქუთაისში დაბრუნება.

იუზა კაციტაძე
ქუთაისიდან

დავით ნოზაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა დავით ნოზაძე. 31 წლის ფეხბურთელმა ცხოვრების ნახევარზე მეტი საყვარელ თამაშს შეალია.

ერთ დროს „ტორპედოს“ კაპიტნობდა. უთამაშია ფოთის, ზესტაფონის, სამტრედიის, სენაკის, თერჯოლის, ხონის გუნდებში. რუსული ვლადივოსტოკის „ლუჩის“ წევრიც იყო. ჭაბუკობისას თანატოლთა საკავშირო ნაკრებშიც მიუწვევიათ.

ახლაც რუსეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას. დათო გასულ კვირას ქალაქ ვოლუსკში ჩავიდა მეგობრების მოსანახულებლად. ჩავიდა და...

დათო ნოზაძე გუშინწინ ვოლუსკის ერთ-ერთ ეკლესიაში მისულა სალოცავად. მისულა და სულიც იქვე ლოცვისას დაულევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბერია რუსებს დაერია

მივაგენით! მივაგენით! როგორც იქნა, მივაგენით!

რუსეთი, ურალი, ეკატერინბურგის ოლქი, ნიჟნი ტაგილის რაიონი, ქალაქი ვერხნაია სალდა.

აი ოურმე, სად ყოფილა სამტრედიის „იბერია“.

ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ თუ ქართული კლუბი შეკრებაზე სადღაც ურალს გადაიკარგებოდა!? ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით.

აფერუმ, „იბერიას“ პრეზიდენტის ნუგზარ ნიკოლაიშვილის ფანტაზიას და გაქნებას. ჯერ ქვეშხეთიო, მერე მოსკოვი, არბატი, ახლა ვერხნაია (ნიჟნაიაც ყოფილა) სალდა.

ერთი კვირის წინ მოსკოვიდან აოროქლებული „იბერიას“ ადგილსამყოფელის მიგნება ძალიან კი გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მივაგენით და ახლა დროებით გარუსებულ ჩვენებუროა ამბავსაც გეტყვით.

სამტრედიელები ურალს ნუგზარ ნიკოლაიშვილის რეკომენდაციით გაემგზავრნენ. ვერხნაია სალდა ერთი პატარა მუშათა (მეტწილად მეტალურგების) ქალაქია. სალდაში სასტუმროც ისე მომცრო ყოფილა, რომ „იბერიას“ 25-კაციანი დელეგაციაც კი ვერ დაიტია. ამიტომ იყო, სასტუმროში ათიოდე იბერიელი დარჩა საცხოვრებლად, დანარჩენი კი ქალაქიდან 15 კილომეტრის მოშორებით, ტყეში გაშენებულ კოტეჯებში მოუწიათ დაბინავება.

პირობებს არ იკითხავთ? ნორმალურიაო, ამბობენ. ლამაზი ბუნება, კოხტა სტადიონი, კარგი საუნა, სამჯერადი კვება და სხვა კარგი რამე-რუმეებიც. თავი ზღაპარში მგონია — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას ერთ-ერთმა იბერიელმა.

ზღაპარი რა მოსატანია და სამტრედიელთა მართლაც რომ უჩვეულო რუსული ვოიაჟი, სულ ცოტა 15 აგვისტომდე გაგრძელდება. მოსკოვში დარჩენილმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა გუნდი მთლიანად სოსო ფრუიძეს მიანდო და მისი ამბავი რომ ვიცით, თავს საქილიკოდ ნამდვილად არ გაიხდის, სრულიად გამოუცდელი ბიჭებითაც წინა სეზონისა არ იყოს, მეთორმეტე ერონულშიც მაქსიმუმის გამოწურვას შეეცდება. ფრუიძეს მწვრთნელობა რომ არ ეშლება, ბევრჯერ დაუმტკიცებია.

გუშინ საღამოს „იბერია“ ვერხნაია სალდაში ადგილობრივ გუნდს, საოლქო პირველობის ლიდერ „მეტალურგს“ ეთამაშა და 6:0 მოუგო. მასპინძლებს წყვილ-წყვილად ზურაბ მეტრეველმა და ოდიკაძემ გაუტანეს, თითოჯერ კი ნოზაძემ და ჩიმაკაძემ გამოიჩინეს თავი. „იბერიამ“ ეს ამხანაგური შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ა. ჩომახიძე (ვარდანიძე), ჟვანია, ბანძელაძე, სანიკიძე, ნოზაძე, გიორგაძე, ხმალაძე (ყურაშვილი), ჩიმაკაძე (ჭოლაძე), ზ. მეტრეველი (ლ. ვაშაკიძე), ოდიკაძე (ო. ვადაჭკორია), მუმლაძე (ონიანი).

როგორც სამტრედიელთა მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ვასილ შენგელიამ გვითხრა 25 ივლისს „იბერია“ ნიჟნი ტაგილში გაეგზავრება და რუსულ მეორე ლიგაში მოსასპარეზე იქაურ გუნდს გაეჯიბრება.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

შარშანწინ ღარწყალელების (თეთრ მაისურებში) და სტუდენტების ურთიერთობას ამხანაგური არ ეთქმოდა

ბადრი კვირკელიას ფოტო

მილანი კახეთში ემზადება და პირველობაზე ოცნებობს

სათაურის სისწორეში ეჭვი ნუ შეგეპარებათ, „მილანი“ საწვრთნელ შეკრებას ქიზიყში გადის და პარალელურად საკონტროლო მატჩებსაც ატარებს. არ გჯერათ? 20 ივლისს „მილანი“ ჭაბუკიანს ეწვია და იქ შეკრებაზე მყოფ თსუ-ს გაეჯიბრა, მატჩი ფრედ — 0:0 დასრულდა. წარმოუდგენელია? სულაც არა... გურჯაანულ-ძველანაგურმა „ალაზანმა“ სახელი იცვალა და ამ კლუბს ამიერიდან „მილანი“ ჰქვია. მოკლედ, კახელებს თავისი „მილანი“ ჰყავთ.

ნაღდია, ჩვენს ფეხბურთში ზოგადად იტალიური, კონკრეტულად კი მილანური გავლენა მკვეთრად შემოიჭრა. გასულ წელს „ინტერი“ გაჩნდა — გეხსომებათ, ქუთაისურმა „ტორპედოს“ შეფებმა ამგვარად მონათლეს თავიანთი ფარმკლუბი, ახლა კი „მილანი“. წესით „მონცას“ ჯერია (ესეც მილანური გუნდია, მერე რა, რომ სერია B-ში თამაშობს). მერე კი ალბათ ქართული გუნდები სრულად აითვისებენ „სერია A“-ს. რა არის ამაში ცუდი... დღეს თბილისში დედაქალაქური დერბი გაიმართება — „ტორინო“ „ისანზე“ „იუვენტუსს“ დაუხვდება... არა, როგორ ჟღერს? მოკლედ ნელ-ნელა იტალიურ ფეხბურთს ვუახლოვდებით...

ხუმრობა იქით იყოს და მართლაც მოულოდნელია ქიზიყელთა ასეთი გადაწყვეტილება, თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, საქმე გაკეთდეს და კიდევ ერთი ფინანსურად მძლავრი გუნდი შეემატოს ჩვენში თითო-ოროლა მოწინავეთა რიგებს. კახეთში რომ ფეხბურთის აღორძინება გადაწყვიტეს, ფაქტია. დიდ საქმეს შეჭიდებიან იქაურები და თუ მიყვნენ უეჭველად შედეგსაც მოიმკიან. როგორ მოვიდა დღემდე „მილანი“? ნაღდი სეხნიისგან განსხვავებით, ამ კლუბს ერთობ ხანმოკლე ისტორია აქვს.

გეხსომებათ, ძველანაგური „ღარწყალი“, X ეროვნულ ჩემპიონატში გამალებით რომ იბრძოდა რჩეულთა შორის მოსახვედრად. მაშინ „ღარწყალს“ სოლიდური მეპატრონე ჰყავდა, გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები მიიწვია და მიზანთანაც ახლოს იყო. სწორედ „ღარწყალის“ წყალობით აგიზგიზდა ორი წლის წინ კახეთში ჩამქრალი საფეხბურთო ცეცხლი. მახსოვს, გუნდს მთელი სოფელი დაჰყვებოდა გასვლით მატჩებში საქმაგოდ, „ღარწყალიც“ თამაშს თამაშზე იგებდა და სულ უფრო უახლოვდებოდა პირველ ლიგას. გუნდის ხელმძღვანელობამაც სტადიონის და სავარჯიშო კომპლექსის მშენებლობა წამოიწყო ძველ ანაგაში. შედეგად სეზონის ბოლოს სოფლის განაპირა გაშლილ ველზე კოხტა სარბიელი გაჩნდა, მაგრამ „ღარწყალმა“ პირველ ლიგას ვერ უწია — გადასასვლელ მატჩში თსუ-სთან დამარცხდა. კლუბის პრეზიდენტმა არაკეთილსინდისიერება დასწამა სფფ-ს ზოგიერთ ჩინოსანს და გუნდზე ხელი ჩაიქნია, თუმც გასული ჩემპიონატის საშუასეზონო პერიოდისას ძველ ანაგაში კვლავაც გაგორდა ბურთი — გურჯაანის „ალაზანი“ „ღარწყალს“ შეუერთდა, გაერთიანებულ გუნდს „ალაზანი“ ეწოდა და ძველ ანაგაში დაიდო ბინა. „ალაზანმა“ დაძაბულ ბრძოლაში II ჯგუფში (დღეს უკვე I ლიგა რომ ჰქვია) დარჩენის პატივი ირგუნა და გამალებულ სამზადისს შეუდგა. რამდენიმე დღის წინ კი კახელებს გადაწყვეტილება მიუღიათ, გუნდისთვის სახელი შეეცვალათ და ფედერაციაში წერილი უფრენიათ — ამიერიდან „მილანი“ გვერქმევაო. სამწუხაროდ ძველანაგური გუნდის ხელმძღვანელებს ვერაფრით დავუკავშირდით, რამდენიმე დღეში გუნდის პრეზიდენტი თბილისს ეწვევა და მილანზე უფრო სრულ მასალას „სარბიელის“ ერთერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

გუნდი რომ ფინანსურად წელგამართულია და სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლას აპირებს, ამაში თსუ-ს მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ კაციამ დაგვარწმუნა — ჭაბუკიანში ჩვენთან სათამაშოდ საკუთარი, კომფორტული ავტობუსით გამოცხადდნენ კახელები, თავიდან ნაღდი „მილანი“ მეგონა — ეცინება ბატონ თენგიზს — ავტობუსი „მილანის“ ლოგოთი იყო მოხატული. გამართული, მებრძოლი გუნდი ჰყავთ, მართლაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს — გვითხრა კაციამ.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ „მილანი“ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშებს და უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად იბრძოლებს. „მილანელთა“ უახლოეს გეგმებზე კი ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ კვირას ეს გუნდი საკონტროლ მატჩს ისევ თსუ-სთან გამართავს ჭაბუკიანში.

პაატა კვანტალიანი

კაჭკაჭები ვაშინგტონში, ქეცბაია აშინგტონში

რატი ალექსიძე



თემურ ქეცბაია

პირველი ამათგანი ყველას გაუგია — აშშ-ს დედაქალაქია და პრემიერლიგელი „ნიუკასლი“ სწორედ იქ გადის სეზონისწინა სამზადისს, „კაჭკაჭთა“ სარეზერვო გუნდი კი სამშობლოში ვარჯიშობს და გუშინწინ პატარა ქალაქ აშინგტონის მოყვარულთა კლუბი ამხანაგურად 5:0 დაამარცხა.

სამწუხაროდ, თემურ ქეცბაია ვაშინგტონში არ იმყოფება. არ წაიყვანა ბობი რობსონმა და რა ჰქნას? ამიტომაც იკმარა აშინგტონელებთან თამაში (მთელი 90 წუთი), თუმცა, ცხადია, ასეთ მდგომარეობას ვერ ეგუება და ამბობს: „სხვა გზა არ მაქვს, „ნიუკასლიდან“ უნდა წავიდე. რომ ეთქვათ, ქეცბაია ძირითადის II კაცში მოსახვედრად მზად არაა, კიდევ დავიჯერებდი, მაგრამ 22-კაციან შემადგენლობაშიც აღარ შემიყვანეს. შარშან ამ დროს ასეთივე ბედი რობლისა და ნიკოს დაბიზასს ეწიათ. ახლა ჩემი დროც დამდგარა“.

ჩვენებურის დღეშია ჯერ კიდევ გულიტის დროს ესპანური „მალიორკიდან“ შეძენილი მცველი მარსელინოც. როგორც ინგლისური პრესა იუწყება, პირველივე ხელსაყრელი წინადადების შემთხვევაში „ნიუკასლი“ ამ ორ მოთამაშეს იოლად შეელევა. ესპანელის თაობაზე ჯერჯერობით არაფერია, ქეცბაიას გადაბირების სურვილი კი „ფულემს“, „ვესტ ჰემს“ და სქოთურ „სელტიკს“ ჰქონიათ.

ძირითად გუნდში მოსახვედრად უნდა იბრძოლოს კიდევ ერთმა ქართველმა, რატი ალექსიძემ, რომლის „ჩელსიც“ სამი დღის წინ შეიკრიბა და მზადება მეტად ინტენსიურად, ორჯერადი ვარჯიშით დაიწყო. შარშანდელივით, რატი ახლაც ძირითად გუნდში ვარჯიშობს და შესაძლოა, დღეს დაგეგმილ პირველ საკონტროლო მატჩშიც მიიღოს მონაწილეობა. ივლისის ბოლოს „ჩელსი“ ჰოლანდიას გაემგზავრება, სეზონს კი ინგლისის სუპერთასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრით გახსნის.

გიგა კოგანიძე

ფიფამ ჯინჭარაძე აზარალა

ნაკლები ცოდვა არც „დინამოს“ აწევს

ფიფას მიერ თბილისის „დინამოსთვის“ დადებული სანქცია რომ არა, ახლა უკრაინის ჩემპიონატში ერთით მეტი ქართველი ითამაშებდა.

„სარბიელი“ ადრეც იუწყებოდა, რომ საქართველოს ათგზის ჩემპიონის ფეხბურთელი პაატა ჯინჭარაძე ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ იყო გასინჯვაზე. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, უკრაინელებს ჩვენებური საჩემპიონატო განაცხადშიც უნდა შეეყვანათ, მაგრამ...

„კონტრაქტის გაფორმება ვერ მოვასწარით. 7 ივლისს ფიფამ „დინამოს“ სასჯელი გამოუტანა — ფეხბურთელთა ყველანაირი ყიდვა-გაყიდვა აუკრძალა. ჯინჭარაძე კი, მოგეხსენებათ, თბილისურ კლუბს ეკუთვნის. ტრანსფერიც ამის გამო ჩაიშალა“ — უთხრა „სარბიელს“ გუშინ პაატას მენეჯერმა დავით ქარაულმა.

ჯინჭარაძე ამჟამად თბილისშია და „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს. ახალ სეზონსაც ალბათ აქ დაიწყებს.

„ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ პაატამ კარიერა ამ ეტაპზე საზღვარგარეთ გააგრძელოს. უკრაინაში სატრანსფერო სეზონი 31 ივლისს იხურება. თუ უახლოეს ათ დღეში „დინამოს“ სანქცია არ მოეხსნა, ჯინჭარაძეს აქ მოუწევს დარჩენა, არადა, მისით ზაპოროჟიელთა გარდა სიმფეროპოლის „ტავრიაც“ იყო დაინტერესებული“ — აღნიშნა ქარაულმა.

ფიფას ეს გადაწყვეტილება რომ არა, ალბათ უკრაინაშივე წავიდოდა სათამაშოდ „დინამოს“ კიდევ ერთი მცველი, ირაკლი ვაშაკიძე. მის ტრანსფერზეც იყო საუბარი, მაგრამ კონკრეტულად აღარ გვისაუბრია, რა აზრი ჰქონდაო, თქვა მენეჯერმა.

ასე რომ, ფიფას სანქციის სიმწარე თბილისის „დინამომ“ უკვე ივემა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, კიდევ კარგა ხანს ედებათ ტაბუ დინამოელებს.

ვანო ოჭროპირიძე

არჩილ არველაძეს (მარცხნივ) არც სისწრაფე დაეწუნება

არჩილ არველაძე მესამეა

გერმანული „კიოლნის“ მთავარმა მწვრთნელმა ევალდ ლინენმა ორი დღის წინ შეგირდებს ტესტირება ჩაუტარა. პაპანაქება სიცხეში 30 მეტრი გადაზომა, თავად წამმზომი აიღო ხელში და ფეხბურთელები სპრინტში შეაჯიბრა. როგორც გერმანული პრესა აღნიშნავს, მწვრთნელი შედეგით ერთობ კმაყოფილი დარჩენილა. ჰქონია კიდეც ამის საბაბი, 21 ფეხბურთელიდან 11-მა 30 მეტრი მწვრთნელისთვის მისაღებ დროში დაფარა.

„გუნდის ქართველი ახალწვეული არჩილ არველაძე საკმაოდ სწრაფი ყოფილა, მან მესამე შედეგი აჩვენა“ — ცოტა არ იყოს, გაკვირვებულია გერმანული მასმედია.

ჩვენებურს ორმა თანაგუნდელმა — კრისტიან ტიმმა და სპასოიე ბულაიჩმა გადაუსწრო.

ერთკვირიან შეკრებას „კიოლნი“ 26 ივლისს დაასრულებს. მანამდე ლინენი ორი საკონტროლო მატჩის ჩატარებას გეგმას. დღეს კიოლნელები მეორე ბუნდესლიგის „ოსნაბრუკს“ დაუპირისპირდებიან, სამშაბათს კი ობერლიგის „დიულმენს“.

შეგახსენებთ, არველაძემ ოთხი მატჩის ჩატარებაც მოასწრო, რომლებშიც ხუთი გოლი გაიტანა.

აქვე ორიოდე სიტყვით შოთაზეც გეტყვით. ჰოლანდიურმა ამსტერდამის „აიაქსმა“ ამ დღეებში კიდევ ერთი საწვრთნელი მატჩი გამართა. ჰოლანდიურ „გრინსტარსს“ 18:0 მოუგო. ქართველი ფორვადი მეორე ნახევარში გამოჩნდა მინდორზე და მეტოქის კარი ოთხჯერ დალაშქრა.

ვანო ოქროპირიძე

ჩიხრაძე ისრაელში

რა უნდა ლოკომოტივის კაპიტანს პირველ ლიგაში?

თბილისის „ლოკომოტივი“ კაპიტანმა დატოვა. გიორგი ჩიხრაძე გუშინწინ ისრაელს გაემგზავრა და ბეერშევას „ჰაპოელთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ეს გუნდი ისრაელის უმაღლესი ლიგიდან გავარდნილია და პირველ ლიგაში თამაშობს, დიდი წარმატებებითაც ვერ დაიკვეხნის, ისრაელის პირობაზე საშუალო დონის გუნდია.

ბეერშევას „ჰაპოელშივე“ უნდა გაეგრძელებინა კარიერა „ლოკომოტივის“ მცველ ლევან მიქაძესაც, თუმც პირობებზე ვერ შეთანხმდა და კვლავ „ლოკომოტივში“ დარჩება.

დავით ჭიჭვეიშვილიც, რომელსაც რკინიგზელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ისრაელს ეშურებოდა, მაგრამ, რატომღაც ჯერ ისიც თბილისშია.

„ლოკომტივი“ კი, როგორც ადრე ვწერდით, 22 ივლისს კოჯორში უნდა ავიდეს და „სლოვანთან“ მატჩებისთვის მოემზადოს. ჯერჯერობით ისაა გადაწყვეტილი, რომ „ლოკომოტივში“ ყოფილი არსენალელი ბორის გონჩაროვი და ადრე „დინამოს“ ნახევარმცველი გიორგი შენგელია ითამაშებენ.

ისე, გასაკვირი კი არის, რა უნდა საქართველოს თასის მფლობელი გუნდის კაპიტანს ისრაელის პირველ ლიგაში...

კოგა ინასარიძე

გიორგი ჩიხრაძე

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

დინამო ქობულეთში ირბენს

საქართველოს ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ორშაბათიდან ქობულეთში გააგრძელებს ახალი სეზონისთვის მზადებას. ისინი აჭარაში დაახლოებით ათ დღეს დაჰყოფენ და უფრო ფიზიკურად მოემზადებიან.

დღეისთვის კი „დინამო“ თბილისშია, ფეხბურთელები დილაობით კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დარბიან, საღამოობით დიღმის ბაზაზე ვარჯიშობენ.

გუნდის მწვრთნელ რევაზ არველაძის თქმით, თითქმის ყველა ფეხბურთელი დარჩება გუნდში და მომავალ კვირაში ახალ კონტრაქტებსაც გააფორმებენ, ყოველ შემთხვევაში, ხელმძღვანელები და ფეხბურთელები პირობებზე წინასწარ შეთანხმებულები ყოფილან. გამონაკლისი მხოლოდ გიორგი შენგელიაა, რომელიც თბილისის „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს და ალბათ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშებს ბრატისლავის „სლოვანის“ წინააღმდეგ.

სხვა შეკრება თბილისის „დინამოს“ დაგეგმილი არა აქვს, თუმც არ არის გამორიცხული, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით თბილისიდან გავიდნენ.

ცნობისათვის, ბოლო ხანებში პირველად მოხდა — დინამოელები ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად უცხოეთში ვერ მიდიან.

კოგა ინასარიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში ემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენას (ოუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *დილა 4:0, სპარტაკი (ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბულგარეთი) 0:2,*
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	13.07-დან გერმანიაში ემზადება *თსუ 0:1, ჟაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი (გერმანია) 4:0, კოტბუსი (გერმანია) 1:1, უნიონი (გერმანია) 1:2*
	დინამო *რევაზ არველაძე*	ბი ზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელ), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (?), გ. შენგელია (ლოკომოტივი)	კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი)	*შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07-დან თბილისში ემზადება, 24.07-დან ქობულეთში მოემზადება
	ბათუმი *ჯანი კარნევალი*	*მ. მაბარაძე (კარიერა დასრულა), ბომერიკი, ა. მუჯირი (არუ, შვეიცარია),* ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (შუქურა), გელა ქორიძე (მერანი), ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მეავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი)	08.07 ბათუმში, 18.07-დან ჩაქვში ემზადება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეფლა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	11.07-დან ბაკურიანში ემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი), მესიაჩენკო (ოკეანე)	27.06-დან ბოლნისში ემზადება
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, (?, რუსეთი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი)		05.07-დან მოსკოვში ემზადება
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი), გრიგალაშვილი (ცხინვალი), ა. ხმალაძე (არსენალი)	21.06-დან გორში ემზადება *ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1*
	მერანი *სერგო გაბელაია*	დეკაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), კობესაშვილი (ლოკომოტივი)	ოდიშარია (ხობი), დავითნიძე (კოლხეთი), გელა ქორიძე (ბათუმი)	10.07-დან თბილისში ემზადება *ლოკომოტივი 1:2*
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), ჩიხრაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელ),* კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, ონიანი (?), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიჭვეიშვილი (ისრაელი)	გონჩაროვი, ზ. გაგნიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბაიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი), გ. შენგელია (დინამო)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 22.07-დან კოჯორში მოემზადება *გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1*
	თსუ *თენგიზ კაცია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონია), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა)	17.07-დან ლაგოდეხშია, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0*
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ბუკია (თსუ)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	28.06-დან რუსთავში ემზადება *ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია



ხუან გასპარი: „გასატი გატყუეგთ!“ ლუის გასატი: „გასპარს ეშინია!“

წინასაარჩევნო კამპანიაში საქმეს სიტყვა სჭარბობს. გაუთავებელი დაპირებები, ერთმანეთის ლანძღვა...

„ბარსელონას“ პრეზიდენტის არჩევნები ხვალ გაიმართება, იქამდე კი კამპანიის მსვლელობას გადავაყოლოთ თვალი. კანდიდატები თავიდან ოთხნი იყვნენ. კასტელსი და ხაიმე ლაურადო ბრძოლას ადრე გამოეთიშნენ. ხვალ კენჭს ხუან გასპარი და ლუის ბასატი იყრიან.

6 ივლისი

გასპარი: ფლორენტინო პერესი ტყუის, როცა ფიგუს გადაბირებაზე საუბრობს. ეს მისი წინასაარჩევნო ხრიკია.

ბასატი: ფიგუ „რეალში“ თუ წავა, ნუნიესის და გასპარის ბრალი იქნება, კონტრაქტი წესიერად უნდა შეედგინათ.

7 ივლისი

ბასატი: კასტელსს და ლაურადოს გამარჯვების შანსი არა აქვთ.

8 ივლისი

კანდიდატებმა მხარდამჭერთა ხელმოწერები წარადგინეს: ბასატმა — 7355, გასპარმა — 14560, კასტელსმა — 3569, ლაურადომ — 2031.

ლაურადო: ჩემს კანდიდატურას ვხსნი.

11 ივლისი

ბასატი: იდეა მაქვს, „კამპ ნოუს“ სახელი შევუცვალოთ.

გასპარი: ბასატს ძალიან სულელური იდეა აქვს.

12 ივლისი

გასპარი: ფიგუზე ამდენი ლაპარაკი არ ღირს. „ბარსელონა“ ფიგუზე მეტია.

ბასატი: პრეზიდენტი რომ გავხდები, ფეხბურთელთა კონტრაქტებს გადავხედავ.

14 ივლისი

ბასატი: გასპარს მეორედ ვიწვევ დებატებში. ის კი რატომღაც თავს იკავებს. ხომ არ ეშინია?

გასპარი: გპირდებით, რომ გვარდიოლა „ბარსასთან“ კონტრაქტს გააგრძელებს.

15 ივლისი

გასპარი: ცხადია, რომ ბასატი ხალხის მოტყუებას ცდილობს.

16 ივლისი

გასპარი: ბასატი ირწმუნება, რომ ზიდანს და ხერარდს იყიდის. სასაცილოა.

17 ივლისი

გასპარი: სერიოზული კონკურენტი არ მყავს.

ბასატი: ვადასტურებ, რომ ზიდანს და ხერარდს მოველაპარაკე. პრეზიდენტად თუ ამირჩევთ, მათ უეჭველად გადმოვიყვან.

ნუნიესი („ბარსელონას“ ყოფილი პრეზიდენტი): პერესი ფიგუს თუ წაიყვანს, „ბარსელონასთვის“ დიდი დარტყმა იქნება.

ბასატი: არჩევნებში გასპარზე 40 პროცენტით მეტ ხმას მივიღებ.

18 ივლისი

ნუნიესი: ხმას ბასატის წინააღმდეგ მივცემ.

გასპარი: ბასატს სურს, რომ ხესუს ხილს დაემსგავსოს. ეს კი მოდაში აღარაა.

ბასატი: გასპარმა თანამშრომლობა შემომთავაზა. ალბათ, ეშინია.

ნუნიესი: ბასატს ურჩევნია, კლუბის საწევრო გადასახადი დროულად გადაიხადოს.

19 ივლისი

ბასატი: ვშიშობ, არჩევნების შედეგები არ გააყალბონ.

კასტელსი: კანდიდატურას ვხსნი.

20 ივლისი

ბასატი: „ბარსელონასთვის“ არგენტინელი პაბლო აიმარის შეძენას ვაპირებ.

გასპარი: მადრიდის „რეალს“ აუცილებლად ვუჩივლებ და ფიგუს დავიბრუნებ. ამასთან, „ბარსელონაში“ მარკ ოვერმარსს, ალფონსოს, ემანუილ პეტის და ივან დე ლა პენიას გადმოვიყვან.

21 ივლისი

გასპარი: რონალდოსთვის „ბარსელონას“ კარი მუდამ ღიაა.

ბასატი: გასპარს ბაქიაობის მეტი არაფერი შეუძლია.

გასპარი: ბასატი ისევე ერკვევა ფეხბურთში, როგორც მე ოპერაში. ოპერის კი საერთოდ არაფერი გამეგება.

რივალდოს ყველგან აფასებენ... ბარსელონას გარდა

რივალდო დისიდენტია?

ფიგუმ გააკეთა ის, რაც საჭიროდ ჩათვალა

„რეალმა“ ფიგუს ბევრად უკეთესი პირობები შესთავაზა, ვიდრე „ბარსელონაში“ ჰქონდა. პორტუგალიელმაც მადრიდს მიაშურა. ვერც გაამტყუნებ, იგი პროფესიონალია. ეს რამდენიმე კვირაა, რივალდოც აწუწუნდა, ხელფასის გაზრდას ითხოვს, რასაც „ბარსელონას“ ყოფილი პრეზიდენტი ხოსეპ ლუის ნუნიესი კარგა ხნის წინ დაჰპირდა, მაგრამ სიტყვა უტეხა. საოცარია, კატალონიურ კლუბში ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელი მობერებული იარი ლიტმანენია, კაცი, რომელიც სეზონს უმეტესწილად სათადარიგოთა სკამზე ატარებს. რივალდოს კი, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის კვალობაზე გროშებს უხდიან.

— „ბარსელონას“ ძალიან მძიმე კვირა უდგას...

— ჰო, ალბათ ასეა. თუმცა პირადად მე ახლა სულ სხვა რამეზე ვფიქრობ: 26 ივლისს არგენტინას ვხვდებით.

— გუნდიდან ფიგუ წავიდა...

— ფიგუზე საუბარი არ მსურს. მას სრული უფლება ჰქონდა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. ფიგუმ „ბარსელონასთვის“ ძალიან ბევრი გააკეთა და უდიდესი ფეხბურთელია. ცხადია, ის გუნდს დააკლდება, მაგრამ, ვიმეორებ, ფიგუმ გააკეთა ის, რაც საჭიროდ ჩათვალა.

— თქვენც ხომ არ ფიქრობთ სადმე წასვლას?

— ვერ გამიგია, რატომ ლაპარაკობენ გაუთავებლად ჩემს წასვლაზე. არც ერთი ჟურნალისტისთვის ასეთი რამ არ მითქვამს.

— მაგრამ უკმაყოფილო რომ ხართ?

— „ბარსელონა“ მსოფლიოში საუკეთესო კლუბია. ამიტომ ჩემთვის ერთი რამ გაუგებარი რჩება: თუკი „ლაციო“, „მილანი“ ან „რეალი“ ბარსელონელ ფეხბურთელს დიდ ხელფასს სთავაზობენ, თავად „ბარსელონას“ რატომ არ შეუძლია იგივე გააკეთოს? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება... უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, რომ „ბარსელონას“ გარდა ყველგან გვაღმერთებენ.

— პრობლემა მხოლოდ ფულშია?

— არა, ხელფასების გარდა პირად ურთიერთობასაც ვგულისხმობ. მოთამაშეები პრეზიდენტისგან გულთბილ დამოკიდებულებას უნდა ვგრძნობდეთ. სამწუხაროდ, წინა სეზონში სხვაგვარად იყო. სწორად გამიგეთ, როცა ვატყობ, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ვავიწყდები, იძულებული ვარ, საკუთარ თავზე და ჩემს ოჯახზე თავად ვიზრუნო.

— გამოდის, ნუნიესი ცუდად გექცეოდათ...

— ის კარგი პრეზიდენტი, მაგრამ ძალიან მკაცრი კაცი იყო. ხშირად ვკამათობდით, თუმცა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— პირობებით უკმაყოფილო ხართ, მაგრამ კლუბიდან წასვლას არ აპირებთ...

— იმედი მაქვს, ყველაფერი გამოსწორდება. ახალ პრეზიდენტზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

— არჩევნებში მხარს ვის უჭერთ?

— ჩემთვის სულ ერთია. მთავარია, ახალი პრეზიდენტი კლუბს გამოადგეს და ფეხბურთელებზეც იფიქროს.

— ამბობენ, თქვენი კლუბში დატოვება ხუან გასპარს ძალიან უნდა, არჩევნებისთვის ეს მას ქულებს შეჰმატებს...

— არ მინდა, ჩემი სახელი ვინმემ წინასაარჩევნო აგიტაციისთვის გამოიყენოს. არჩევნებამდე რივალდო დაივიწყეთ.

— მწვრთნელზე რას იტყოდით, სერა ფერერს დატოვებენ გუნდში?

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, თუმცა ფერერთან სიამოვნებით ვიმუშავებ. მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. ფერერი ძალიან კარგი მწვრთნელია, ლუის ვან გაალიც არანაკლები იყო, მაგრამ ესპანელი მწვრთნელი „ბარსელონას“ უკეთ მოერგება. ღმერთმა ქნას, არ გააკრიტიკონ.

„მარკადან“ თარგმნა
ეკა ჯაფარიძემ

ნიკოლა ანელკა

ანელკა რეალში რჩება

მართალია, ფრანგული გაზეთები ერთსულოვნად ამტკიცებდნენ, ნიკოლა ანელკა მადრიდის „რეალიდან“ „პარი სენ ჟერმენში“ მალე გადავაო, თავდამსხმელის ძმამ და აგენტმა დიდიემ საპირისპირო განაცხადა, ნიკოლა „რეალში“ რჩებაო.

არადა, თითქოს ორ კლუბს შორის ყველაფერი შეთანხმებული იყო.

დიდიე ანელკა „რეალის“ ტექნიკური დირექტორის ხოსე მარტინეს პირის კაბინეტიდან გამოსვლის მერე ასე ამბობს:

„ჩემი ძმა მადრიდში დარჩება და ისევე, როგორც „რეალის“ წევრი სხვადასხვა ნაკრების მოთამაშეები, ვარჯიშს 31 ივლისს შეუდგება. მას მერე, რაც სეზონი დამთავრდა, ბევრი რამ დაიწერა და ითქვა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება — ნიკოლა გუნდს არ იცვლის.“

„პარიზიენის“ ცნობით, „პარი სენ ჟერმენი“ თავისი ყოფილი ვარსკვლავის დაბრუნებაში 31,25 მილიონ დოლარს იხდიდა და ამით ფრანგულ სატრანსფერო რეკორდს ამყარებდა. თითქოს, სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ 21 წლის თავდამსხმელს „პარკ დე პრენსზე“ დასარჩენად ექვსწლიანი კონტრაქტისთვის უნდა მოეწერა ხელი, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს იმ შემთხვევაში, თუ „რეალის“ პრეზიდენტად ლორენსო სანსი დარჩებოდა. მოგეხსენებათ, სანსმა არჩევნები წააგო, პრეზიდენტი ახალი კაცი, ფლორენტინო პერესი გახდა და გეგმებიც აირია.

ანელკა პარიზელია, გარეუბან ტრაპედან. 1996 წელს „პარი სენ ჟერმენში“ თამაშობდა, 1997 წლის იანვარში ინგლისურ „არსენალში“ გადავიდა, ხოლო იქიდან გასული წლის აგვისტოში 35 მილიონ დოლარად მადრიდის „რეალში“ გადაინაცვლა.

დღეს ევრო 2000-ზე დაღლილი ჩემპიონი ნიკოლა ანელკა მარტინიკზე ისვენებს. „პარი სენ ჟერმენი“ კი ოფიციალურ განცხადებას თავს არიდებს.

ულფ კირსტენი ნაკრებიდან მიდის

გერმანიის ნაკრების ფორვარდმა ულფ კირსტენმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბუნდესნაკრებში აღარასდროს ითამაშებს. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ეროვნული გუნდიდან წასვლა „ლევერკუზენის“ ფეხბურთელს ადრევე განუზრახავს და ახლა აზრის შეცვლას აღარ აპირებს.

„ევროპის ჩემპიონატი ჯერ დაწყებულიც არ იყო, როცა ვთქვი, რომ ნაკრებიდან წავიდოდი. ახლა აღარ გადავიფიქრებ“ — განუცხადა 34 წლის ფეხბურთელმა ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტს.

კირსტენმა 20 ივნისს ბუნდესნაკრებში საიუბილეო, მე-100 მატჩი გამართა, თუმცა ის დღე გერმანული ფეხბურთისთვის ნამდვილად ავადმოსაგონარია. როტერდამში, მაშინ ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონები პორტუგალიამ შეარცხვინა — „ლაციოს“ თავდამსხმელმა სერჟიო კონსეისაუმ მათ სამი უპასუხო ბურთი გაუტანა და გერმანიის ნაკრებს ბელგია — ჰოლანდია უსახელოდ დაატოვებინა.

აღსანიშნავია, რომ კირსტენი თავიდან აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრებში თამაშობდა. მან იქ 49 მატჩი ჩაატარა, ქვეყნის გაერთიანების შემდეგ კი ბუნდესნაკრებში ჩაირიცხა — გუნდის მაისურა მან 51-ჯერ მოირგო.

მუსლიმები და ხორვატები დაქმოზილდნენ სერბები გაუდგნენ გზასა

სარაევოში ბოსნიელი მუსულმანები და ფეხბურთის ხორვატი ჩინოვნიკები შეთანხმდნენ, რომ 22 გუნდიან პრემიერლიგას შექმნიან, მაგრამ ამ წამოწყებას სერბულმა კლუბებმა ჰკრეს წიხლი.

„პრემიერლიგის შეხვედრები 5 აგვისტოს დაიწყება“ — განუცხადა საგენტო „როიტერს“ ბოსნია-ჰერცეგოვინის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მუნიბ უსანოვიჩმა — „შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ორ მესამედს მოიცავს“.

უსანოვიჩმა აღნიშნა, რომ სერბები ძველ აზრზე დგანან და ბოსნიის ერთიან ჩემპიონატში მონაწილეობას არ აპირებენ.

„ვინაიდან ·ისინი ჩვენს პრინციპებს არ იზიარებენ, ვერც საერთაშორისო შეხვედრებში მიიღებენ მონაწილეობას. ამას ხომ ჩვენი ფედერაციის ნებართვა დასჭირდება“ — დასძინა გენერალურმა მდივანმა.

შესაბამისად, ბოსნიაში არსებული სერბული კლუბების მოთამაშეები ვერ მოხვდებიან ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდში.

თავად სერბთა სურვილი კი ბოსნიაში დამოუკიდებელი სერბული ლიგის ჩამოყალიბებაა, რომელთა გამარჯვებულები ევროოთასებზე მოსახვედრად ზემოხსენებული მუსლიმურ-ხორვატული პრემიერლიგის ჩემპიონებს პლეი-ოფში დაუპირისპირდებიან.

აქამდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ასე იყო: ცალკე არსებობდა მუსლიმთა პირველობა, ცალკე ხორვატთა და ევროტურნირებზე მათ ჩემპიონთა შორის პლეი-ოფში მოგებული ხვდებოდა. განაწყენებული სერბები ამ სისტემას ახლოსაც არ იკარებენ.

ერთი სიტყვით, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ფეხბურთის საქმეც ისევეა, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებისა: 1992-95 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ ხომ ქვეყანა, რეალურად, ეთნიკურ ნაწილებად იყო დაშლილი. საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები მხოლოდ სარაევოში დაფუძნებულ ეროვნულ ფედერაციებს სცნობდნენ, მაგალითად ფეხბურთის იმ ფედერაციას, რომლის გენერალური მდივანი ზემოხსენებული მუნიბ უსანოვიჩი გახლდათ.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ეს ფედერაცია მხოლოდ მუსლიმთა კლუბებს ხელმძღვანელობდა, მისმა ეროვნულმა ნაკრებმა კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლებში ითამაშა.

თანდათანობით გაირკვა, რომ ფიფა და უეფა განდგომილ ხორვატულ და სერბულ ფედერაციებს დამოუკიდებლად არ სცნობს. ამან აპრილში ხორვატები მოტეხა, რომელთაც მუსლიმებთან გაერთიანებაზე თანხმობა განაცხადეს.

საბოლოოდ, უსანოვიჩის განცხადებით, იმ მუსლიმურ-ხორვატული პრემიერლიგის გარდა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, იარსებებს პირველი დივიზიონი და ხუთი რეგიონალური ლიგაც. პრემიერლიგაში, როგორც მოგახსენეთ, ჯერჯერობით 22 გუნდია, 2001-02 წლების სეზონში კი, ფიფასა და უეფას რეკომენდაციათა თანახმად, მათი რაოდენობა 16-მდე შემცირდება.

ათი ნომერი მხოლოდ ერთია



ფერენც პუშკაში

უნგრული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას, 73 წლის ფერენც პუშკაშს მისმა ყოფილმა კლუბმა, „კიშპეშტ ჰონვედმა“ დიდი პატივი სცა — ამიერიდან გუნდში მაისურა მეათე ნომრით აღარ იარსებებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც „ჰონვედში“ პუშკაშმა კარიერა დაიწყო, კლუბი უნგრეთის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდა. შემდეგ, 1952 წელს, დიდმა მოთამაშემ — ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო, ხოლო ორი წელი რომ გამოხდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის პრიზიორი გახდა. ეს ჩემპიონატი ისტორიაში საგანგებოდ იმიტომ შევიდა, რომ არავინ ელოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები უნგრეთის „დიდ გუნდს“ ფინალში თუ დაამარცხებდა. მაგრამ მოხდა სენსაცია, საყოველთაოდ აღიარებულმა ფავორიტმა 2:3 წაგო და ხალხთა მეხსიერებას შემორჩა როგორც გუნდი, რომელიც ჩემპიონი ვერ გახდა. სხვათაშორის, იმ შეჯიბრების დასაწყისში ფერენც პუშკაში დაშავდა კიდეც. მაგრამ შემდეგ გამოჯანმრთელდა და გოლებიც გაიტანა.

განსაკუთრებით ბრწყინვალე გახლდათ პუშკაშის საკლუბო ცხოვრება. „კიშპეშტ ჰონვედის“ შემდეგ უნგრელი ვარსკვლავი მადრიდის „რეალის“ მოთამაშე გახდა და ალფრედო დი სტეფანოსთან ერთად 1956-1960 წლებში ხუთჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

„ასეთი დიდი ტრადიციების მქონე ცნობილ კლუბში სამუდამო მეათე ნომრად დარჩენა უდიდესი პატივია“ — ბრძანა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა — „ეს ჩემთვის მეტად ამაღელვებელი მომენტი გახლავთ, მითუფრო, რომ აღრე ასეთი რამ უნგრეთში არ მომხდარა“.

პრეზიდენტო, ჩვენი ჰიმნი ჰიმნია?!

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს თხოვნით მიმართეს სახელმწიფო ჰიმნისთვის სიტყვები შეარჩიეთო.

„საერთაშორისო თამაშების წინ ჩვენს ჰიმნს რომ უკრავენ ჩუმად დგომა გვიწევს, რაც არ გვსურს“ — მისწერეს მოთამაშეებმა პრეზიდენტს — „ჰიმნის დროს ჩუმად დგომა მატჩის წინასწარ წაგებას ნიშნავს! ჩვენ მღერა გვსურს, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს. ვიმედოვნებთ, თქვენი დახმარებით ხალხი და ფეხბურთელები, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ ჰიმნს ველირსებით“.

მოგეხსენებათ, რუსეთის ჰიმნი მსოფლიოში იმითაა უნიკალური, რომ ტექსტი არ აქვს.



ფეხბურთი მსოფლიოს

თურქი მცველი ოზალან ალფაი ახალი სეზონიდან „ასტონ ვილაში“ ითამაშებს. სააგენტოების ცნობით, „ფენერბაჰჩე“ ფეხბურთელმა ბირმინგემულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თურქებმა კი სანაცვლოდ 5,6 მილიონი გირვანქა მიიღეს. ალფაი თავის ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობს, იგი გუნდს ევრო 2000-ზეც ახლდა. „ყველაფერი თითქმის გადაწყვეტილია, ფეხბურთელი მალე სამედიცინო შემოწმებას ჩაიტარებს, ვიმედოვნებ, გუნდს მოერგება და წარმატებებს მიაღწევს“ — განაცხადა „ასტონ ვილას“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ.

ბელგიის ნაკრების ფორვარდ ემილ მპენზას „არსენალში“ იწვევენ. ახლახან გაუწყეთ, რომ ფეხბურთელის გადაბირებას შოტლანდიის ჩემპიონი „რეინჯერსი“ და ფრანგული „ბორდოც“ ცდილობენ, თუმცა მპენზას „შალკე“ არ ჰყიდის. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ლონდონური კლუბი თანახმაა, ბელგიელის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. „მეთოფეთა“ ახალ წინადადებაზე გელზენკირხენულ კლუბს ჯერჯერობით არაფერი განუცხადებია.

იტალიელი მცველის, კრისტიან პანუჩის შეძენის სურვილი „ჩელსიმ“ გამოთქვა. „ინტერზე“ გულაყრილი ფეხბურთელი, ალბათ მილანში აღარ დარჩება. მის გადაბირებას „რომაც“ ცდილობს. ამბობენ, ჯანლუკა ვიალი მარჩელო ლიპის პანუჩიში დიდიე დეშამპის ან ფრანკ ლებეფის გაცვლას სთავაზობსო, მილანური კლუბის პასუხი კი ჯერჯერობით უცნობია. იმასაც ამბობენ, „ფიორენტინა“ და „ინტერი“ მორენო ტორიჩელისა და კრისტიან პანუჩის გაცვლას აპირებენო. წინასწარი ცნობით, თუ მილანურმა კლუბმა 27 წლის მცველი გაყიდა, მის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

იტალიის სერია A-ში პირველი სამხრეთკორეელი ფეხბურთელი ითამაშებს. „პერუჯამ“ 24 წლის მეკარე იან იუნგი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ გოლკიპერის გადაბირებას სანტანდერის „რასინგიც“ ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ „პერუჯამ“ იმარჯვა. თუ გახსოვთ, იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ თავისი ევროპული კარიერა სწორედ „პერუჯაში“ დაიწყო, შემდეგ კი „რომაში“ გადავიდა.

ინგლისურ „უიმბლდონს“ „ნიუკასლ იუნაიტედის“ 21 წლის ფორვარდ პოლ რობინსონის შეძენა სურს და ალბათ მიზნის მალე მიაღწევს. „კეჭკაჭთა“ ხელმძღვანელობის განცხადებით, კონტრაქტი თითქმის გაფორმებულია, სატრანსფერო თანხა კი 1,5 მილიონი გირვანქაა. პრემიერლიგიდან გავარდნილ „უიმბლდონში“ მალე, შესაძლოა, პოლ მერსონიც ჩაირიცხოს. რამდენიმე სეზონის წინ „ასტონ ვილას“ წლის საუკეთესო ფეხბურთელი ბირმინგემული კლუბის დატოვებას აპირებს და ალბათ „უიმბლდონში“ გადავა. „გავიგე, რომ „უიმბლდონში“ მიწვევენ, იქნებ მალე ამ კლუბში გადავიდე“ — განაცხადა თავად მერსონმა.

რუსეთის ჩემპიონმა „სპარტაკმა“ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეციდან“ კამერუნელი მცველი კრისტიან ტჩუისე გადაიბირა. მოსკოველებმა კიდევ ორ ბრაზილიელს — ნახევარმცველ მარკოს და მცველ ალეშანდრე ლოპესსაც დაადგეს თვალი და არ არის გამორიცხული, სულ მალე შეიმატონ. 27 წლის მარკაო და 25 წლის ალეშანდრე „სპარტაკში“ თავიანთ თვისტომ ლუის რობსონთან ერთად ითამაშებენ. წინა კვირას მოსკოვურმა კლუბმა დონეცკის „შახტარის“ ლატვიელი ფორვარდი ანდრეი შტოლცერსიც შეიძინა.

საფრანგეთის პირველ დივიზიონში ახალგადასულმა „ტულუზმა“ „რენის“ გამოცდილი მეკარე კრისტოფ რევო გადაბირა. სატრანსფერო თანხა არ გაცხადებულა, ის კი ცნობილია, რომ გოლკიპერმა ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „რენში“ ცოტა ხნის წინ საფრანგეთის ნაკრების მეკარე ბერნარ ლამა გადავიდა, რევომ კი კლუბის გამოცვლა არჩია. 28 წლის მეკარემ საფრანგეთის პირველ დივიზიონში 191 შეხვედრა ჩაატარა, წლეულს იგი „ტულუზის“ მეათე ახალწვეულია. „გამოცდილი ფეხბურთელი შევიმატეთ, იგი ჩვენი გუნდის კარს დაიცავს და წარმატების მიღწევაში დაგვეხმარება“ — განაცხადა „ტულუზის“ პრეზიდენტმა ჟაკ რუბიომ.

არგენტინელი სააგენტოების ცნობით, „სანდერლენდმა“ „არხენტინოს ხუნიორსის“ ფეხბურთელი ხულიო არკა შეიძინა და საკომპენსაციოდ 1,2 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ფეხბურთელი ადრე ინგლისში ჩავიდა და „სანდერლენდთან“ პირობები შეათანხმა. პრემიერლიგური კლუბის თავკაცმა პიტერ რიდმა კი ახლახან ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურა. აღსანიშნავია, რომ არგენტინელის გადაბირებას სხვა ევროპული კლუბებიც ცდილობდნენ, თუმცა საბოლოოდ „სანდერლენდმა“ იმარჯვა.

ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი, ჯერჯერობით კვლავ ტრავმირებულ მუხლს მკურნალობს და სავარაუდოდ აგვისტოს შუა რიცხვებამდე ვერ ივარჯიშებს. ფეხბურთელმა ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღეში ოპერაცია გაიკეთა. ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, რამდენ ხანს გასტანს დავიდსის სარეაბილიტაციო პერიოდი, ფეხბურთელი სულ მცირე, აგვისტოს შუა რიცხვებამდე ვერ განაახლებს ვარჯიშს“ — განაცხადა „იუვენტუსის“ ექიმმა, რიკარდო აგრიკოლამ.

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა შტეფან ეფენბერგმა ტრავმა მიიღო და ბუნდესლიგის სეზონის დასაწყისს სავარაუდოდ გამოტოვებს. „თავს თანდათან უკეთ ვგრძნობ, მაგრამ ტრავმა ერთობ სერიოზული იყო, ამიტომ იქნებ თავიდან რამდენიმე ტური გამოვტოვო“ — განაცხადა ფეხბურთელმა. „შტეფანი ახლა მართლაც მომჯობინდა და მომავალს იმედით შეჰყურებს, მაგრამ ექიმების თქმით, ჯერ თამაშს ვერ შეძლებს. სამწუხაროა, ეფენბერგი გუნდს ძალიან სჭირდება“ — განაცხადა „ბაიერნის“ დამხმარე მწვრთნელმა მიხაელ ჰენკემ.

ევროპის ოვრამეტწლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი

გერმანია 3:2 ხორვატია

1:0 აუერი (17), 1:1 ბაბიჩი (45), 1:2 სრნა (47), 2:2 პროისი (76), 3:2 ლუნგნიკელი (83)

ჰოლანდია 0:0 უკრაინა

უკრაინა	3	2	1	0	3:1	7
გერმანია	3	2	1	0	6:3	6
ჰოლანდია	3	1	1	1	3:3	4
ხორვატია	3	0	0	3	3:8	0

B ჯგუფი

ფინეთი 2:3 ჩეხეთი

1:0 სიოლუნდი (48), 1:1 მაჩეკი (52პ), 1:2 ბაროში (57), 1:3 კობლიკი (62), 2:3 სიოლუნდი (74)

საფრანგეთი 2:0 რუსეთი

1:0 გივე (74), 2:0 მატი (81)

საფრანგეთი	3	2	0	1	4:2	6
ჩეხეთი	3	1	1	1	4:3	4
ფინეთი	3	1	1	1	5:5	4
რუსეთი	3	0	2	1	2:3	2

ორშაბათს, 24 ივლისს ფინალში უკრაინა საფრანგეთს შეხვდება, კვირას კი გერმანია ჩეხეთს მესამე ადგილისთვის დაუპირისპირდება

არბიტრი დასაჯეს

ჩაუთვლელმა გოლმა დი სანტისი ფეხბურთს ოქტომბრამდე ჩამოაშორა

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, იტალიელ მსაჯთა სადისციპლინო კომიტეტმა არბიტრ მასიმო დი სანტისს ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია მოუსაჯა. გადაწყვეტილება მაისიდან შევიდა ძალაში, რაც იმას ნიშნავს, რომ დი სანტისი თავის პროფესიულ მოვალეობას ოქტომბრამდე ვერ შეასრულებს.

ალბათ ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, რა დააშავა დი სანტისმა ისეთი, რის გამოც იგი ოთხი თვით ჩამოაშორეს ფეხბურთს. იტალიის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა. ჩემპიონის ბედი ბოლო ტურში გადაწყდა, რომის „ლაციომ“ ტურინის „იუვენტუსს“ აჯობა და გუნდის ისტორიაში მეორედ მოიპოვა სკუდეტო. ეს ყველაფერი ბოლო, 34-ე ტურში მოხდა, ერთი ტურით ადრე კი:

რომაელები „ბოლონიას“ შეხვდნენ და დაამარცხეს, ახლა „იუვენტუსზე“ იყო დამოკიდებული, შეინარჩუნებდა თუ არა ლიდერობას. ტურინელები „პარმას“ მასპინძლობდნენ. ალესანდრო დელ პიერომ მე-60 წუთზე გოლი გაიტანა და „ბებერი ქალბატონი“ დააწინაურა. მატჩი იწურებოდა, თითქოს მეტი გოლი აღარ უნდა გასულიყო, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე ფაბიო კანავარომ ედვინ ვან დერ სარის კარი დალაშქრა. სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ორი ქულის დაკარგვა „იუვენტუსს“ ეგებ სკუდეტოდაც დასჯდომოდა, მაგრამ ამ დროს დი სანტისმა სრულიად აბსურდული საბაბით კანავაროს გოლი არ ჩათვალა. არბიტრმა განმარტა: „კანავარომ რომ დაარტყა, შევნიშნე, სადღაც იქით ვიღაცეები ძიძგილაობდნენო. ჩაუთვლელი გოლი კინაღამ ტრაგედიის მიზეზი გახდა, „იუვენტუსის“ მდევარ „ლაციოს“ აღშფოთებულმა ქომაგებმა რომში, იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან დემონსტრაცია მოაწყვეს, რომელიც არეულობაში გადაიზარდა და პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა.

გოლი უნდა ჩათვლილიყო, ყველაფერი წესების სრული დაცვით მოხდა, რაც ვიდეოფირებმაც დაადასტურა, და თითქმის ყველამ ერთხმად აღიარა, მაგრამ დი სანტისს შეეშალა. ეს შეცდომა „ლაციოს“ კინაღამ სკუდეტოს დაკარგვად დაუჯდა, ხოლო თავად დი სანტისს ოთხთვიან დისკვალიფიკაციად.

ნიკა შუბლაძე

ბაჯო მეოთხე მუნდიალზე ფიქრობს

რობერტო ბაჯო

რობერტო ბაჯო ჯოვანი ტრაპატონისეულ ნაკრებში მოსახვედრად და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე წასასვლელად ბრძოლას აპირებს.

1993 წლის ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი 33 წლისაა და ჯერჯერობით „ინტერის“ ფეხბურთელად ითვლება, თუმცა მილანის კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება — შეწყვეტაზე მას ჯერ კიდევ მოუწევს მოლაპარაკება.

ბაჯომ „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ინტერის“ პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ მას გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელობა შესთავაზა, მაგრამ თავად თვლის, რომ ფეხბურთელის კარიერა ჯერ არ დაუსრულებია და დიდი სარბიელიდან წასვლა ომახიანად სურს.

„თამაშის გაგრძელება მსურს. ახალ მიზნად მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიოატზე თამაში მაქვს დასახული“ — თქვა ვარსკვლავმა.

გასულ სეზონში „ინტერის“ მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ, ორი გადამწყვეტი გოლის გატანის მიუხედავად იტალიელ გაუშემატკივართა საყვარელი ფეხბურთელი ძირითადად მაინც სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ეს ორი გოლი ბაჯომ „პარმასთან“ პლეი ოფში გაიტანა და ამით მილანელები ჩემპიონთა ლიგის ახალ გათამაშებაში ჩართო.

ევრო 2000-ზე არყოფნის მიზეზი ბაჯოს აზრით კვლავ და კვლავ „ინტერში“ სათადარიგოობა გახლდათ:

„თუ ფეხბურთელი იმდენად იშვიათად თამაშობს, რომ ნაკრების მწვრთნელს მის შესახებ აზრი არ ექმნება, ბუნებრივია, ევროპის პირველობაზე მის წაყვანაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომაც მომიხდა შინ დარჩენა, მაშინ როდესაც ევრო 2000-ზე შემეძლო ჩემი შესაძლებლობები გამომევლინა“.

რობერტო ბაჯო მსოფლიოს ბოლო სამი ჩემპიონატის მონაწილეა. 2002-ში იგი 35 წლისა იქნება, კარიერის განმავლობაში „ფიორენტინას“, „იუვენტუსის“, „მილანის“, „ბოლონიისა“ და „ინტერის“ შემადგენლობაში 160 გოლი აქვს გატანილი. ეს შედეგი სერია A-ს დღევანდელ ფეხბურთელთათვის სარეკორდოა.

UEFA EURO 2000 ევრო 2000

სარბიელის თერთმეტი რჩეული

ანარეკლი ცათამბჯენის კედელზე

ედგარ დავიდსი

ჰოლანდია

დაიბადა: 1973 წლის 13 მარტს პარამარიბოში (სურინამი)
კლუბი: იუვენტუსი (იტალია)
ამპლუა: ნახევარმცველი
სიმაღლე: 169სმ
წონა 66კგ
კარიერა: აიაქსი (ჰოლანდია), მილანი (იტალია), იუვენტუსი (იტალია)
ჰოლანდიის ნაკრებში: 35 მატჩი, 4 გოლი

მაშინ ამსტერდამის ქუჩებში ერთი მოზარდი დადიოდა. ათასებიდან ერთი. არავინ იცოდა ვინ იყო. ეს თავადაც არ იცოდა, ცხოვრობდა ჩვეულებრივად და ცნობილი „აიაქსის“ სკოლაში ფეხბურთის თამაშს სწავლობდა.

ეს ის დროა, როდესაც ჰოლანდიურმა ფეხბურთმა კრუიფის, რენსენბრინკის, რეპის, ნეესკენსის და სხვა ვარსკვლავების ამოფრქვევის შემდეგ ცოტა დაისვენა და ახალი ნაკადი ამოტყორცნა, გულიტი, რაიკარდი, ვან ბასტენი... მსოფლიოს კვლავ ნარინჯისფერმა მოსჭრა თვალი. ატყდა ერთი ამბავი: მარადონა ფრთხილად იყოს, გულიტი მოდის!

იმ დროს გაგვახსენდა, რომ იქით, სადღაც, ოკეანის გადაღმა, სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთით არის ქვეყანა, რომლისთვისაც რუკის თვალიერებისას ათასჯერ მოგვიკრავს თვალი, მაგრამ მზერა არასდროს შეგვიჩერებია. ამ ქვეყანას სურინამი ეწოდება და ჰოლანდიის ყოფილი კოლონიაა. იქ ცხოვრობს ხალხი, რომელსაც უწნდება შვილები და ეს შვილები შეიძლება ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელები გახდნენ. მაგალითად იგივე გულიტი და რაიკარდი.

ამსტერდამის ქუჩებში კი დადიოდა ერთი მოზარდი, სურინამში, პარამარიბოში დაბადებული, დადიოდა და, ალბათ, ყველა კუთხე კუნჭულში აკრულ გულიტისა და რაიკარდის არაბუნებრივი სიდიდის პლაკატებს ქვემოდან აჰყურებდა.

სურინამი. დაუვიწყარი ფრაზა თქვა მაშინ საბჭოთა რუსმა კომენტატორმა ვლადიმირ პერეტურინმა. ჯერ გაგვაცნო, ამ ვარსკვლავებს (გულიტს და რაიკარდს) მამები სურინამელები ჰყავთო (დედებზე არაფერი უთქვამს), შემდეგ დაიწუწუნა ჩვენთან ასე ფეხბურთს ვერავინ თამაშობსო და დასძინა: ხომ არ შეგვერჩია კარგი სურინამელი მამები?

და აი, გადის ათზე მეტი წელიწადი, ამ წერილის ავტორი ევრო 2000-ის ფინალზე როტერდამში ჩადის და ქალაქის ცენტრალური სადგურის შენობიდან გამოსული პირველს რასაც ხედავს ცად აზიდულ, მინით ნაგებ შენობაზე „იმ მოზარდის“ გამოსახულებაა. მთელ სიმაღლეზე რაღაცნაირად მისხივებული თუ შიგნიდან არეკლილი. ოღონდ „ის მოზარდი“ უკვე ოცდაშვიდი წლის კაცია, რომელსაც ყველა იცნობს — ედგარ დავიდსი, ჰოლანდიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ნახევარმცველი. სურინამელი მამის ვაჟი.

საოცარი ენერგიის და დიდებული ტექნიკის ნახვა თუ გინდათ, დავიდსის თამაშს დააკვირდით. ადრე, „აიაქსში“ მუშაობის დროს ლუის ვან გაალს წამოცდა, ეგ ბიჭი ჩემი პატარა ბულდოგიაო. შერჩა კიდევაც მეტსახელად.

მებრძოლი კაცია ედგარ დავიდსი, მოედანზეც და მიღმაც. გახსოვთ ჰოლანდიის ნაკრების უწინდელ მწვრთნელთან, გუს ჰიდინკთან თავს გადახდენილი ისტორია? ევრო 96-ის დროს ბულდოგმა ამოიღრინა, ჰიდინკი თეთრკანიან ფეხბურთელებს წყალობს, ვესტ ინდოელებს კი გვჩაგრავსო. ერთი სიტყვით, ისევ სურინამელი მამების თემა, ოღონდ სხვა კუთხით. ეს თქვა თუ არა კარისკენ მიუთითეს.

იმ სეზონში დავიდსი იტალიას გაეშურა, „მილანში“ გადავიდა. ერთი წლით ადრე, ჩემპიონთა თასის ფინალში, „აიაქს“ — „მილანის“ შეხვედრაში, იტალიური გუნდის მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს მისი თამაში ისე მოეწონა, რომ სანამ თავისთან არ გადაიყვანა ვერ მოისვენა. მაგრამ როგორც მწვრთნელს, ასევე მოთამაშეს იმედი გაუცრუვდა. ვერ შეეწყო ბულდოგი ახალ გარემოს. ხდება ხოლმე.

ისევ გამოიცვალა ჰოლანდიელმა გუნდი, მაგრამ ამჯერად ქვეყანა არ შეუცვლია. ის „იუვენტუსში“ გადაბარგდა და გაუმართლდა. მასაც და გუნდსაც.

ხოლო გუს ჰიდინკი იძულებული გახდა ორიოდ წლის წინ კარისკენ გაშვერილი თითი მოეკაკვა და აშკარად ამობრწყინებული ვარსკვლავისთვის ნაკრებში დაბრუნება შეეთავაზებინა. ასეთი ფეხბურთელის ჯიუტად განდევნა დიდი შეცდომა იქნებოდა. დავიდსის ნარინჯისფერთა შორის დაბრუნებას სხვა სურინამელი მამების შვილებმა, კლუივერტმა, ზეედორფმა, რაიციგერმა და ვინტერმაც დიდად შეუწყვეს ხელი.

1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჰოლანდია ნახევარფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა. შემდეგ მესამე ადგილი დათმო, ხორვატებთან წააგო, მაგრამ ძალიან კარგ გუნდად დაგვამახსოვრდა. ხოლო ედგარ დავიდსმა ერთხელაც დაამტკიცა ისედაც დამტკიცებული — ის დიდებული მოთამაშეა. მაშინ გაჩნდა პირველად აზრი — დავიდსი ნეესკენსის ბადალია.

... ჰიდინკი რაიკარდმა შეცვალა, დავიდსი, ცხადია ვერავინ. ევრო 2000-ზე კვლავ ვიხილეთ ბულდოგის უშრეტი ენერგია და საუცხო ტექნიკა. ოღონდ, ამ შეჯიბრებაზეც ჰოლანდიელთა მაქსიმუმი ნახევარფინალი გამოდგა.

უცნაური რამ დამემართა იმ ნახევარფინალის დღეს „ამსტერდამ არენას“ „ციცაბო“ ტრიბუნაზე. მეტისმეტად დრამატული თამაში წუთების დამთავრებული გახლდათ, ნარინჯისფერები გლოვობდნენ, იტალია ზეიმობდა, მე კი ვიდექი და მიკვირდა, რატომ ვერ გახდა „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონი. მას ხომ დავიდსი და ზიდანი ჰყავს, ამის ზევით კი აღარაფერია.

„ის სრულყოფილი ნახევარმცველია, მსოფლიოში საუკეთესოთა შორის სრულყოფილებით გამორჩეული“ — ამბობს მასზე ტურინელთა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.

ედგარ დავიდსის ბიბლიოთეკაში ძალუმად ყოფილა ბუდისტური ლიტერატურა და სპინოზას ნათხზავები, ვიდეოთეკაში კი მატჩები ამერიკელი კალათბურთელის, შექანებული დენის როდმანის მონაწილეობით. კიდევ, ედგარ დავიდსს გლაუკომა აქვს და სათვალესაც ამიტომ ატარებს. სათვალიანი თამაშობს, სენს არ ნებდება და ვაჟკაცობაც ესაა.

ხოლო, რაც შეეხება ვლადიმირ პერეტურინს, მართალი გითხრათ მისთვის კარგა ხანია აღარ მისმენია, მაგრამ ვფიქრობ ბულდოგის შემყურე ისევ იმ აზრზე უნდა იყოს: ხომ არ შეგვერჩია კარგი სურინამელი მამები?

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგია. პირველი დივიზიონი. 2000-2001 კალენდარი

I ტური

12 აგვისტო
- ბევერენი — შარლერუა
- ლა ლუვიერი — ლოკერენი
- ეკერენი — მუსკრონი
- მეხელენი — გენკი
- ვესტერლო — ანტვერპენი

13 აგვისტო
- ბრიუგე — გენტი
- აალსტი — ლიერსი
- ჰარელბეკე — სტანდარდი
- სენტ ტრუიდენი — ანდელეხტი

II ტური

19 აგვისტო
- სტანდარდი — ლა ლუვიერი
- შარლერუა — ჰარელბეკე
- ანტვერპენი — ბევერენი
- ანდელეხტი — ვესტერლო
- ლიერსი — სენტ ტრუიდენი
- გენკი — აალსტი
- გენტი — მეხელენი
- ლოკერენი — ეკერენი

20 აგვისტო
- მუსკრონი — ბრიუგე

III ტური

26 აგვისტო
- ბევერენი — ანდელეხტი
- შარლერუა — ანტვერპენი
- ეკერენი — სტანდარდი
- მეხელენი — მუსკრონი
- ვესტერლო — ლიერსი

27 აგვისტო
- ბრიუგე — ლოკერენი
- აალსტი — გენტი
- ჰარელბეკე — ლა ლუვიერი
- სენტ ტრუიდენი — გენკი

IV ტური

5 სექტემბერი
- ანდელეხტი — შარლერუა

6 სექტემბერი
- სტანდარდი — ბრიუგე
- ლა ლუვიერი — ეკერენი
- ანტვერპენი — ჰარელბეკე
- ლიერსი — ბევერენი
- გენკი — ვესტერლო
- გენტი — სენტ ტრუიდენი
- მუსკრონი — აალსტი
- ლოკერენი — მეხელენი

V ტური

9 სექტემბერი
- ბევერენი — გენკი
- შარლერუა — ლიერსი
- ანტვერპენი — ანდელეხტი
- მეხელენი — სტანდარდი
- სენტ ტრუიდენი — მუსკრონი
- ვესტერლო — გენტი

10 სექტემბერი
- ბრიუგე — ლა ლუვიერი
- აალსტი — ლოკერენი
- ჰარელბეკე — ეკერენი

VI ტური

16 სექტემბერი
- სტანდარდი — აალსტი
- ლა ლუვიერი — მეხელენი
- ეკერენი — ბრიუგე
- ანდელეხტი — ჰარელბეკე
- ლიერსი — ანტვერპენი
- გენკი — შარლერუა
- გენტი — ბევერენი
- მუსკრონი — ვესტერლო
- ლოკერენი — სენტ ტრუიდენი

VII ტური

23 სექტემბერი
- ბევერენი — მუსკრონი
- შარლერუა — გენტი
- ანტვერპენი — გენკი
- ანდელეხტი — ლიერსი
- მეხელენი — ეკერენი
- სენტ ტრუიდენი — სტანდარდი
- ვესტერლო — ლოკერენი

24 სექტემბერი
- აალსტი — ლალუვიერი
- ჰარელბეკე — ბრიუგე

VIII ტური

30 სექტემბერი
- სტანდარდი — ვესტერლო
- ლა ლუვიერი — სენტ ტრუიდენი
- ეკერენი — აალსტი
- ლიერსი — ჰარელბეკე
- გენკი — ანდელეხტი
- გენტი — ანტვერპენი
- მუსკრონი — შარლერუა
- ლოკერენი — ბევერენი

1 ოქტომბერი
- ბრიუგე — მეხელენი

IX ტური

14 ოქტომბერი
- ბევერენი — სტანდარდი
- შარლერუა — ლოკერენი
- ანტვერპენი — მუსკრონი
- ანდელეხტი — გენტი
- ლიერსი — გენკი
- სენტ ტრუიდენი — ეკერენი
- ვესტერლო — ლა ლუვიერი

15 ოქტომბერი
- აალსტი — ბრიუგე
- ჰარელბეკე — მეხელენი

X ტური

21 ოქტომბერი
- სტანდარდი — შარლერუა
- ლა ლუვიერი — ბევერენი
- ეკერენი — ვესტერლო
- მეხელენი — აალსტი
- გენკი — ჰარელბეკე
- გენტი — ლიერსი
- მუსკრონი — ანდელეხტი
- ლოკერენი — ანტვერპენი

22 ოქტომბერი
- ბრიუგე — სენტ ტრუიდენი

XI ტური

28 ოქტომბერი
- ბევერენი — ეკერენი
- შარლერუა — ლა ლუვიერი
- ანტვერპენი — სტანდარდი
- ანდელეხტი — ლოკერენი
- ლიერსი — მუსკრონი
- გენკი — გენტი
- სენტ ტრუიდენი — მეხელენი
- ვესტერლო — ბრიუგე

29 ოქტომბერი
- ჰარელბეკე — აალსტი

XII ტური

11 ნოემბერი
- სტანდარდი — ანდელეხტი
- ლა ლუვიერი — ანტვერპენი
- ეკერენი — შარლერუა
- მეხელენი — ვესტერლო
- გენტი — ჰარელბეკე
- მუსკრონი — გენკი
- ლოკერენი — ლიერსი

12 ნოემბერი
- ბრიუგე — ბევერენი
- აალსტი — სენტ ტრუიდენი

XIII ტური

18 ნოემბერი
- ბევერენი — მეხელენი
- შარლერუა — ბრიუგე
- ანტვერპენი — ეკერენი
- ანდელეხტი — ლა ლუვიერი
- ლიერსი — სტანდარდი
- გენკი — ლოკერენი
- გენტი — მუსკრონი
- ვესტერლო — აალსტი

19 ნოემბერი
- ჰარელბეკე — სენტ ტრუიდენი

XIV ტური

25 ნოემბერი
- სტანდარდი — გენკი
- ლა ლუვიერი — ლიერსი
- ეკერენი — ანდელეხტი
- მეხელენი — შარლერუა
- სენტ ტრუიდენი — ვესტერლო
- მუსკრონი — ჰარელბეკე
- ლოკერენი — გენტი

26 ნოემბერი
- ბრიუგე — ანტვერპენი
- აალსტი — ბევერენი

XV ტური

2 დეკემბერი
- ბევერენი — სენტ ტრუიდენი
- შარლერუა — აალსტი
- ანტვერპენი — მეხელენი
- ანდელეხტი — ბრიუგე
- ლიერსი — ეკერენი
- გენკი — ლა ლუვიერი
- გენტი — სტანდარდი
- მუსკრონი — ლოკერენი

3 დეკემბერი
- ჰარელბეკე — ვესტერლო

XVI ტური

9 დეკემბერი
- სტანდარდი — მუსკრონი
- ლა ლუვიერი — გენტი
- ეკერენი — გენკი
- მეხელენი — ანდელეხტი
- სენტ ტრუიდენი — შარლერუა
- ვესტერლო — ბევერენი

10 დეკემბერი
- ბრიუგე — ლიერსი
- აალსტი — ანტვერპენი
- ჰარელბეკე — ლოკერენი

XVII ტური

16 დეკემბერი
- ბევერენი — ჰარელბეკე
- შარლერუა — ვესტერლო
- ანტვერპენი — სენტ ტრუიდენი
- ანდელეხტი — აალსტი
- ლიერსი — მეხელენი
- გენკი — ბრიუგე
- გენტი — ეკერენი
- მუსკრონი — ლა ლუვიერი
- ლოკერენი — სტანდარდი

XVIII ტური

20 დეკემბერი
- შარლერუა — ბევერენი
- ლოკერენი — ლა ლუვიერი
- მუსკრონი — ეკერენი
- გენკი — მეხელენი
- ანტვერპენი — ვესტერლო
- გენტი — ბრიუგე
- ლიერსი — აალსტი
- სტანდარდი — ჰარელბეკე
- ანდელეხტი — სენტ ტრუიდენი

XIX ტური

20 იანვარი
- ლა ლუვიერი — სტანდარდი
- ჰარელბეკე — შარლერუა
- ბევერენი — ანტვერპენი
- ვესტერლო — ანდელეხტი
- სენტ ტრუიდენი — ლიერსი
- მეხელენი — გენტი
- ეკერენი — ლოკერენი

21 იანვარი
- აალსტი — გენკი
- ბრიუგე — მუსკრონი

XX ტური

27 იანვარი
- ანდელეხტი — ბევერენი
- ანტვერპენი — შარლერუა
- სტანდარდი — ეკერენი
- მუსკრონი — მეხელენი
- ლიერსი — ვესტერლო
- ლოკერენი — ბრიუგე
- გენტი — აალსტი
- ლა ლუვიერი — ჰარელბეკე
- გენკი — სენტ ტრუიდენი

XXI ტური

3 თებერვალი
- შარლერუა — ანდელეხტი
- ბრიუგე — სტანდარდი
- ეკერენი — ლა ლუვიერი
- ბევერენი — ლიერსი
- ვესტერლო — გენკი
- სენტ ტრუიდენი — გენტი
- მეხელენი — ლოკერენი

4 თებერვალი
- ჰარელბეკე — ანტვერპენი
- აალსტი — მუსკრონი

XXII ტური

10 თებერვალი
- გენკი — ბევერენი
- ლიერსი — შარლერუა
- ანდელეხტი — ანტვერპენი
- სტანდარდი — მეხელენი
- მუსკრონი — სენტ ტრუიდენი
- გენტი — ვესტერლო
- ლა ლუვიერი — ბრიუგე
- ლოკერენი — აალსტი
- ეკერენი — ჰარელბეკე

XXIII ტური

17 თებერვალი
- მეხელენი — ლა ლუვიერი
- ანტვერპენი — ლიერსი
- შარლერუა — გენკი
- ბევერენი — გენტი
- ვესტერლო — მუსკრონი
- სენტ ტრუიდენი — ლოკერენი

18 თებერვალი
- აალსტი — სტანდარდი
- ბრიუგე — ეკერენი
- ჰარელბეკე — ანდელეხტი

XXIV ტური

3 მარტი
- მუსკრონი — ბევერენი
- გენტი — შარლერუა
- გენკი — ანტვერპენი
- ლიერსი — ანდელეხტი
- ეკერენი — მეხელენი
- სტანდარდი — სენტ ტრუიდენი
- ლოკერენი — ვესტერლო
- ლა ლუვიერი — აალსტი

4 მარტი
- ბრიუგე — ჰარელბეკე

XXV ტური

10 მარტი
- ვესტერლო — სტანდარდი
- სენტ ტრუიდენი — ლა ლუვიერი
- ანდელეხტი — გენკი
- ანტვერპენი — გენტი
- შარლერუა — მუსკრონი
- ბევერენი — ლოკერენი
- მეხელენი — ბრიუგე

11 მარტი
- აალსტი — ეკერენი
- ჰარელბეკე — ლიერსი

XXVI ტური

17 მარტი
- სტანდარდი — ბევერენი
- ლოკერენი — შარლერუა
- მუსკრონი — ანტვერპენი
- გენტი — ანდელეხტი
- გენკი — ლიერსი
- ეკერენი — სენტ ტრუიდენი
- ლა ლუვიერი — ვესტერლო
- მეხელენი — ჰარელბეკე

18 მარტი
- ბრიუგე — აალსტი

XXVII ტური

31 მარტი
- შარლერუა — სტანდარდი
- ბევერენი — ლა ლუვიერი
- ვესტერლო — ეკერენი
- აალსტი — მეხელენი
- ანდელეხტი — მუსკრონი
- ანტვერპენი — ლოკერენი
- სენტ ტრუიდენი — ბრიუგე

1 აპრილი
- ჰარელბეკე — გენკი
- ლიერსი — გენტი

XXVIII ტური

1 აპრილი
- ეკერენი — ბევერენი
- ლა ლუვიერი — შარლერუა
- სტანდარდი — ანტვერპენი
- ლოკერენი — ანდელეხტი
- მუსკრონი — ლიერსი
- გენტი — გენკი
- მეხელენი — სენტ ტრუიდენი

8 აპრილი
- ბრიუგე — ვესტერლო
- აალსტი — ჰარელბეკე

XXIX ტური

14 აპრილი
- ანდელეხტი — სტანდარდი
- ანტვერპენი — ლა ლუვიერი
- შარლერუა — ეკერენი
- ვესტერლო — მეხელენი
- გენკი — მუსკრონი
- ლიერსი — ლოკერენი
- ბევერენი — ბრიუგე
- სენტ ტრუიდენი — აალსტი

15 აპრილი
- ჰარელბეკე — გენტი

XXX ტური

21 აპრილი
- მეხელენი — ბევერენი
- ეკერენი — ანტვერპენი
- ლა ლუვიერი — ანდელეხტი
- სტანდარდი — ლიერსი
- ლოკერენი — გენკი
- მუსკრონი — გენტი
- სენტ ტრუიდენი — ჰარელბეკე

22 აპრილი
- ბრიუგე — შარლერუა
- აალსტი — ვესტერლო

XXXI ტური

28 აპრილი
- გენკი — სტანდარდი
- ლიერსი — ლა ლუვიერი
- ანდელეხტი — ეკერენი
- შარლერუა — მეხელენი
- ვესტერლო — სენტ ტრუიდენი
- გენტი — ლოკერენი
- ანტვერპენი — ბრიუგე
- ბევერენი — აალსტი

29 აპრილი
- ჰარელბეკე — მუსკრონი

XXXII ტური

5 მაისი
- სენტ ტრუიდენი — ბევერენი
- მეხელენი — ანტვერპენი
- ეკერენი — ლიერსი
- ლა ლუვიერი — გენკი
- სტანდარდი — გენტი
- ლოკერენი — მუსკრონი
- ვესტერლო — ჰარელბეკე

6 მაისი
- აალსტი — შარლერუა
- ბრიუგე — ანდელეხტი

XXXIII ტური

13 მაისი
- მუსკრონი — სტანდარდი
- გენტი — ლა ლუვიერი
- გენკი — ეკერენი
- ანდელეხტი — მეხელენი
- შარლერუა — სენტ ტრუიდენი
- ბევერენი — ვესტერლო
- ლიერსი — ბრიუგე
- ანტვერპენი — აალსტი
- ლოკერენი — ჰარელბეკე

XXXIV ტური

20 მაისი
- ჰარელბეკე — ბევერენი
- ვესტერლო — შარლერუა
- სენტ ტრუიდენი — ანტვერპენი
- აალსტი — ანდელეხტი
- მეხელენი — ლიერსი
- ბრიუგე — გენკი
- ეკერენი — გენტი
- ლა ლუვიერი — მუსკრონი
- სტანდარდი — ლოკერენი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	პოლონეთი. 1-ლი ტური			
	22 ივლისი			
001	შლიონსკი-გურნიკი	2,0	3,0	3,5
002	ვისლა-რაძიონკოვი	1,2	5,6	10,0
003	სტომილი-ოდრა	1,9	2,9	4,0
004	რუხი-ვიძევი	1,6	3,2	5,6
005	ლეგია-ზაგლებე	1,5	3,4	6,5
006	ამიცა-პოლონია	2,4	2,9	2,8
007	პლოცკი-გროცლინი	1,8	3,0	4,2
	23 ივლისი			
008	კატოვიცე-პოგონი	2,0	3,0	3,5
	შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-3 ტური			
	22 ივლისი			
009	გრასჰოპერი-ქსამაქსი	1,3	4,4	8,0
010	სენტ გალენი-არაუ	1,4	3,8	7,0
011	ბაზელი-ლუცერნი	1,7	3,0	5,0
012	ლუგანო-ციურიხი	1,9	2,9	4,0
013	სერვეტი-ლოზანა	1,9	2,9	4,0
014	ივერდონი-სიონი	2,0	3,0	3,5
	შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-4 ტური			
	22 ივლისი			
015	ვანგენი-დელემონი	2,3	2,9	3,0
016	ვინტერთური-კარუჟი	1,7	3,2	4,4
017	კრინსი-სოლოთურნი	1,7	3,1	4,7
018	ბადენი-ვილი	2,0	3,0	3,5
019	ლოკარნო-თუნი	2,3	2,9	3,0
020	იანგ ბოისი-ბელინცონა	2,2	2,9	3,2
	დანია. 1-ლი ტური			
	22 ივლისი			
021	ბრიონდბიუ-ორჰუსი	1,25	5,0	9,0
	23 ივლისი			
022	აკადემისკი-სილკებორგი	1,8	3,0	4,2
023	მიდტიულანდი-ლიუნგბიუ	2,8	3,1	2,3
024	კოპენჰაგენი-ჰადერსლევი	1,3	4,4	8,0
	24 ივლისი			
025	ოდენსე-ვიბორგი	2,4	3,1	2,6
	რუსეთი. მე-18 ტური			
	22 ივლისი			
026	ფაკელი-ლოკომოტივი	5,3	3,3	1,6
027	სპარტაკი-კრილია	1,15	4,4	12,0
028	სატურნი-ტორპედო	3,1	2,8	2,3
029	ანჟი-ალანია	1,7	3,1	4,7
030	ჩერნომორეცი-ცსკა	1,75	3,0	4,4
	23 ივლისი			
031	როტორი-ურალანი	1,6	3,2	5,6
	შვედეთი. მე-12 ტური			
	22 ივლისი			
032	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	1,8	3,1	4,0
	23 ივლისი			
033	გიოტებორგი-აიკ	2,0	3,1	3,4
	24 ივლისი			
034	ტრელებორგი-სუნდსვალი	1,9	3,0	3,8
035	ფრიოლუნდა-ჰამარბი	2,5	3,0	2,5
036	ელფსბორგი-ნორჩიოპინგი	2,3	2,8	3,1
037	იორგრიტე-იორებრო	1,7	2,9	5,3
	ნორვეგია. მე-15 ტური			
	23 ივლისი			
038	ბრინი-ტრომსიო	2,9	3,0	2,3
039	ჰაუგესუნდი-მიოლდე	3,1	3,2	2,1
040	ლილესტრიომი-ვიკინგი	2,0	3,1	3,4
041	მოსი-სტარტი	1,6	3,4	5,0
042	სტაბეკი-ოდ გრენლანდი	1,6	3,4	5,0
043	ვოლერენგა-ბოდიო გლიმტი	1,8	3,0	4,2
044	ბრანი-რუსენბორგი	3,0	2,9	2,3
	გერმანია. ლიგის თასი (ნეიტრალურზე)			
	24 ივლისი			
045	ჰამბურგი-ჰერტა	2,3	3,0	2,9
	საფრანგეთი. სუპერთასი (ნეიტრალურზე)			
	22 ივლისი			
046	მონაკო-ნანტი	1,7	3,2	4,4
	მჩ შესარჩევი მატჩები			
	23 ივლისი			
501	სალვადორი-სენტ ვინსენტი	1,3	4,4	8,0
502	პანამა-კანადა	3,0	3,1	2,2
503	ტრინიდადი-მექსიკა	4,7	3,1	1,7
504	იამაიკა-ჰონდურასი	1,8	3,0	4,2
505	გვატემალა-ბარბადოსი	1,4	4,0	6,5
506	კოსტა რიკა-აშშ	2,7	3,0	2,4

ევროპის ჩემპიონატი (18 წლამდე) (გერმანიაში)
მატჩი მესამე ადგილისთვის. 23 ივლისი

511 გერმანია-ჩეხეთი

ფინალი. 24 ივლისი

512 საფრანგეთი-უკრაინა

№507-510 და №512 წყვილებზე ფსონები მატჩების დღეს მიიღება მხოლოდ ცენტრალურ ოფისში რუსთაველის გამზირზე 14.00 საათამდე. სხვა პუნქტებში მატჩის დღეს დადებული ფსონები გაუქმებულად ჩაითვლება (კოეფიციენტი - 1,0)

	ინტერტოტო. III ეტაპი. II მატჩები			
	22 ივლისი			
513	ასტონ ვილა (ინგლისი)-დუკლა (ჩეხეთი)	1,35	4,0	7,5
514	სიგმა (ჩეხეთი)-სლავენი (ხორვატია)	1,6	3,3	5,3
515	პელისტერი (მაკედონია)-სელტა (ესპანეთი)	4,0	2,9	1,9
516	ვოლფსბურგი (გერმანია)-სედანი (საფრანგეთი)	1,9	2,9	4,0
517	ზალცბურგი (ავსტრია)-სტანდარდი (ბელგია)	2,0	2,9	3,6
518	შტუტგარტი (გერმანია)-ლანსი (საფრანგეთი)	1,9	2,9	4,0
519	ტატაბანია (უნგრეთი)-ზენიტი (რუსეთი)	2,5	2,9	2,6
520	აუსტრია (ავსტრია)-ჩაჰლაული (რუმინეთი)	1,7	3,1	4,7
521	ვალვაიკი (ჰოლანდია)-ბრედფორდი (ინგლისი)	2,4	3,1	2,6
522	კალამატა (საბერძნეთი)-ბლშანი (ჩეხეთი)	2,3	3,0	2,9
523	ოსერი (საფრანგეთი)-როსტსელმაში (რუსეთი)	1,4	3,8	7,0
524	უდინეზე (იტალია)-ოლბორგი (დანია)	1,4	3,8	7,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ბოსტონის საზაფხულო ლიგა

სტეფანიამ ჩაგდებას უმატა

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ მესამე მატჩი გამართა ბოსტონის საზაფხულო ლიგაში და პირველად დამარცხდა. მისი მეტოქე „ატლანტა ჰოქსი“ იყო, რომელსაც ახალბედა დიონ გლოვერმა გაამარჯვებინა. ამ კალათბურთელმა ჯერ დამთავრებამდე 2,5 წამით ადრე ჩააგდო გადამწყვეტი ბურთი (64:62), ხოლო ბოლო წამზე მეტოქის ნასროლს დაუფარა.

ვლადიმერ სტეფანიამ ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში, ოღონდ — ფორვარდად და მოედანზე 25 წუთი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში „სიეტლის“ ქართველმა ცენტრმა 10 ქულა გააკეთა (ხუთიდან ორი ორქულიანი, ორიდან ერთი სამქულიანი და ოთხიდან სამი საჯარიმო ჩააგდო). სტეფანიამ ოთხი მოხსნა და ერთი ჩაჭრაც მიითვალა. მოედანი კი ექვსი პერსონალურის გამო დატოვა.

„სუპერსონიქსის“ რიგებში კვლავ გამოირჩეოდა უკანახაზელთა — შემონდ ვილიამსის და ახალბედა დესმონდ მეისონის დუეტი. პირველმა 20 ქულა გააკეთა, მეორემ — 17. თუმცა მათ დაცვაში ვერ ითამაშეს სათანადოდ და მეტოქე-კოლეგებს თავისუფლად ნავარდის საშუალება მისცეს: დიონ გლოვერმა 12 ქულა მოუტანა „ატლანტას“, ხოლო ჯეიისონ ტერომ — 15.

„სიეტლი“ კიდევ სამ შეხვედრას გამართავს ბოსტონის საზაფხულო ლიგაში. მისი მეტოქეები „ვაშინგტონ ვიზარდსი“, „მილუოკი ბაქსი“ და „ფილადელფია 76“ იქნებიან.

ევროპული ამბები

ესპანეთი

არც ერთი სანსი პერესის გვერდით!

რეალი საკალათბურთო საქმეების მმართველს ეძებს

მადრიდის „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებში ფლორენტინო პერესის გამარჯვებამ ამ კლუბის საკალათბურთო გუნდზეც იმოქმედა. აქამდე „რეალის“ საკალათბურთო საქმეების ყოფილი პრეზიდენტის, ლორენსო სანსის ვაჟი — ლორენსო სანს დიურანი განაგებდა. არჩევნებში მამის დამარცხების შემდეგ უმცროსმა სანსმა თანამდებობა დატოვა. თუმცა, პერესი გამარჯვების მეორე დღეს შეხვდა მას და საქმიანობის გაგრძელება თხოვა. ახალმა პრეზიდენტმა უმცროსს სანსს აქამდე გაწეული შრომა შეუქო, სატრანსფერო პოლიტიკა მოუწონა და დასძინა, „რეალის“ საკალათბურთო საქმეებს სწორედ თქვენნაირი კაცი უნდა განაგებდესო. მიუხედავად ამისა, უმცროსმა სანსმა გადაწყვეტილება არ შეცვალა: „რეალში“ მუშაობის გაგრძელება აღარ შემიძლია. მე კლუბის ძველი დირექტორთა საბჭოს წევრი ვიყავი, ყოფილ პრეზიდენტთან ახლო ნათესაური ურთიერთობა მაკავშირებს, ამდენად, ჩემი აქ გაჩერება არაეთიკური იქნება“.

უმცროსმა სანსმა მართლაც დიდი სამუშაო გასწია. თავის დროზე მან მოაწესრიგა „რეალის“ მოშლილი საკალათბურთო მეურნეობა და წლეულს გუნდი ესპანეთის ჩემპიონი გახდა. უმცროსმა სანსმა სეზონთაშორის პერიოდში „რეალში“ გადაიბირა სლოვენიელი მარკო მილიჩი, ჩეხი ირჟი ზიდეკი და ესპანელი რაულ ლოპესი. მანვე შეუთანხმა პირობები და გუნდში დარჩენაზე დაიყბუნა იუგოსლავიელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი, რომელიც შარშან საძულველ „ბარსელონას“ წაართვა.

უმცროსი სანსის უარის შემდეგ ფლორენტინო პერესს „რეალის“ საკალათბურთო საქმეების ახალი მმართველის გამოძებნა მოუწევს. ამბობენ, რომ ამგვარი კაცი პედრო ანტონიო მარტინ მარინი იქნება. იგი ადრე ესპანეთის კალათბურთის ფედერაციაში მუშაობდა, ხოლო „რეალის“ პრეზიდენტის 1995 წლის არჩევნებში პერესის მარჯვენა ხელი იყო. შეგახსენებთ, რომ მაშინ პერესი უფროს ლორენსო სანსთან დამარცხდა.

„რეალის“ საკალათბურთო საქმეების მომავალ ხელმძღვანელად ბევრი ესპანეთის ნაკრების მწვრთნელის ლოლო საინსს ხედავს. პერესმა საინსს ზემოაღნიშნულ თანამდებობასთან ერთად „რეალის“ გენერალური მენეჯერობაც შესთავაზა. საინსმა ჯერჯერობით ყველაფერი შორს დაიჭირა: „მჟამად ესპანეთის ნაკრებს სიდნეის ოლიმპიადისთვის ვამზადებ და მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. ოქტომბრამდე სხვა საქმე და სადარდელი არ მექნება“.

ბოლო წამს კი ხუან ანტონიო კორბალანის კანდიდატურაც გამოიკვეთა. „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს პერესი დაუკავშირდა და თანამდებობა შესთავაზა. კორბალანს, რომელიც დღესდღეობით მთელს ესპანეთში მეტად ცნობილი და დაფასებული ექიმია, პასუხი ჯერ არ უთქვამს.

რუსეთი

რუსეთი სიდნეიში უკაპიტნოდ წავა

რუსეთის ნაკრებმა სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მორიგი მოსამზადებელი ეტაპი ფინეთში გაიარა. რუსეთში დაბრუნებული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ ერიომინმა დაასახელა ის 15 კალათბურთელი, რომელიც ოლიმპიადისთვის მზადებას გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ სიდნეიში 12 მოთამაშე გაემგზავრება.

უკანა ხაზი: სერგეი ბაზარევიჩი (პოო, საბერძნეთი), ივორ კუდელინი (ცსკა), ევგენი პაშუტინი (უნიქსი), სერგეი ჩიკალკინი (ურალ გრეიტი), ზაზარ პაშუტინი (ქარშიაქა, თურქეთი), ვალენტინ კუბრაკოვი (უნიქსი), სერგეი ბაბკოვი (ხუვენტუდი, ესპანეთი)

ფორვარდები და ცენტრები: ნიკიტა მორგუნოვი (პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი, აშშ), ევგენი კისურინი (ვარეზე, იტალია), ანდრეი ფეტისოვი (ცსკა), სერგეი პანოვი (ცსკა), ანდრეი კირილენკო (ცსკა), რუსლან ავლეევი (უნიქსი), ალექსანდრ პეტრენკო (ცსკა), ალექსანდრ ბაშმინოვი.

ერიომინი აცხადებს, რომ აღნიშნულ კალათბურთელებს შეიძლება დაემატნონ ცენტრები იადგარ კარიმოვი (უნიქსი) და მიხაილ მიხაილოვი (რეალი, ესპანეთი)

შეამჩნევდით, რომ კანდიდატთა შორის არ არის რუსეთის ნაკრების გამთამაშებელი, კაპიტანი და ლიდერი ვასილი კარასიოვი. 29 წლის კალათბურთელმა ავადმყოფობის გამო იუარა ოლიმპიადაზე გამგზავრება: „წინა სეზონი უამრავი ტრავმის გამო ჩამივარდა. ნორმალურ ვარჯიშს ახლა ვიწყებ. აშკარაა, რომ ოლიმპიადისთვის კარგ ფორმაში ვერ ვიქნები. ერთ თვეში რიგიანად მომზადება შეუძლებელია — 20 წლის ხომ არა ვარ“.

სტანისლავ ერიომინმა ამგვარი კომენტარი გაუკეთა კარასიოვის უარს: „გულახდილად გეტყვით — კარასიოვის პოზიცია ჩემთვის გაუგებარია. ვასილიმ ბევრი იავადმყოფა, ყელის ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ ოლიმპიადაზე მოხვედრის კარგი შანსი მაინც ჰქონდა. იგი ნაკრების წამყვანი მოთამაშეა“.

კარასიოვის ადგილზე ერიომინს ორი კალათბურთელი ჰყავს შეგულებული — ევგენი პაშუტინი და სერგეი ბაზარევიჩი.

დოპინგ-კონტროლს უარობ? დაისვენე!

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ხუთი თამაშით დაჯარიმა „საკრამენტო კინგზის“ გამთამაშებელი ჯეისონ ვილიამსი. იგი მომავალი სეზონის პირველ ხუთ თამაშს გამოტოვებს იმის გამო, რომ სავალდებულო დოპინგ-კონტროლის გავლაზე უარი განაცხადა.

საერთოდ ნბა-ს კლუბები და მოთამაშეთა ასოციაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან არათუ მსგავსი დარღვევების სახალხოდ გამოტანას, არამედ კალათბურთელის დასჯასაც. ვილიამსის გარდა სხვაც ბევრი ჩავარდნილა დოპინგ-კონტროლის დროს, მაგრამ მათი ამბავი ასე საქვეყნოდ არ გახმაურებულა. თავად ვილიამსს თავის დასაცავად ხმა არ ამოუღია, პირიქით, აღიარა, შეცდიო. იქნებ მიღებულიც ჰქონდა სტიმულატორი და ამიტომ განაცხადა ური შემოწმებაზე. ისე კი ვილიამსისგან ეს არავის გაჰკვირვებია. მას მსგავსი პრობლემები ხშირად ჰქონდა, არაერთხელ ჩავარდნილა სტიმულატორების თუ არა, მარიხუანას ხმარებაზე მაინც. ამისთვის იგი შარშან ქალაქ საკრამენტოს პოლიციამ დააკავა. მაშინ მხოლოდ ფულადი ჯარიმით გადარჩა. სამაგიეროდ, იოლად ვერ გამოვიდა ორი წლის წინ, როცა თრიაქის სიყვარულმა მას ვადაზე ადრე დაამთავრებინა ფლორიდის უნივერსიტეტი. იქ იგი ორჯერ ჩავარდა. პირველად სასტიკად გაფრთხილდა, მეორედ კი სულაც გააძევეს უნივერსიტეტიდან მიუხედავად იმისა, რომ საკალათბურთო გუნდის ლიდერი იყო.

ვილიამსი ორი წელია, ნბა-ში თამაშობს და „საკრამენტო კინგზის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ და ბოლო სეზონში თამაშში საშუალოდ 12,3 ქულას და 7,3 პასს აკეთებდა.

ივანე ძოგიაშვილი



ჯეისონ ვილიამსი

ნბა-ს ხელფასები

ფილადელფია 76

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
მეტ გეიგერი	6 წელი/51 000 000	2004
ტაირონ ჰილი	5 წელი/37 500 000	2003
ლარი ჰიუზი	4 წელი/6 000 000	2002
ალენ აივერსონი	6 წელი/70 900 000	2005
ჯუმეინ ჯონსი	4 წელი/2 800 000	2003
ჯორჯ ლინჩი	6 წელი/15 000 000	2005
აარონ მაკკი	6 წელი/7 000 000	2000
ტოდ მაკკალოფი	1 წელი/301 000	2000
ნაზრ მოჰამედი	4 წელი/2 400 000	2002
ბილი ოუენსი	3 წელი/6 000 000	2001
კევინ ოლი	1 წელი/422 000	2000
თეო რეტლიფი	7 წელი/57 000 000	2005
ერიკ სნოუ	7 წელი/29 000 000	2006

ვაშინგტონ ვიზარდსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
აიკ ოსტინი	3 წელი/15 000 000	2001
ჯუონ ჰოვარდი	7 წელი/105 000 000	2003
რიჩარდ ჰამილტონი	4 წელი/8 603 543	2003
ტრეისი მიურეი	7 წელი/17 000 000	2003
მიჩ რიჩმონდი	4 წელი/40 000 000	2003
ჯერარდ კინგი	1 წელი/460 000	2000
რეჯი ჯორდანი	1 წელი/510 000	2000
როდ სტრიკლენდი	4 წელი/40 000 000	2002
ჯაჰიდი ვაითი	1 წელი/385 000	2000
კრის ვიტნი	3 წელი/4 000 000	2000
ლარონ პროფიტი	1 წელი/301 875	2000
მაიკლ სმიტი	2 წელი/4 200 000	2001
ლორენცო ვილიამსი	7 წელი/14 000 000	2003
აარონ ვილიამსი	2 წელი/2 000 000	2001

ატლანტა ჰოქსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
კელ ბოულდერი	4 წელი/5 120 450	2003
ბიმბო კოულზი	1 წელი/2 300 000	2000
კრის კროუფორდი	7 წელი/20 000 000	2006
ლაფონსო ელისი	2 წელი/3 675 000	2000
ალან ჰენდერსონი	7 წელი/45 000 000	2003
დიონ გლოვერი	4 წელი/3 400 000	2003
ჯიმი ჯეკსონი	2 წელი/4 000 000	2000
ენტონი ჯონსონი	2 წელი/2 100 000	2000
როშონ მაკლეოდი	4 წელი/3 300 000	2002
დიკემბე მუტომბო	5 წელი/50 000 000	2001
აიზია რაიდერი	7 წელი/25 600 000	2000
ლორენცენ რაიტი	7 წელი/42 000 000	2006
ჯეისონ ტერი	4 წელი/6 550 000	2003

შარლოტ ჰორნეთსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
მაიკლ ჰოკინსი	1 წელი/465 000	2000
ტოდ ფალერი	1 წელი/500 000	2000
ელდენ კემპბელი	7 წელი/49 000 000	2003
დერიკ კოულმენი	5 წელი/50 000 000	2003
ბარონ დევისი	4 წელი/10 219 000	2003
რიკი დევისი	4 წელი/3 040 000	2002
ედი ჯონსი	6 წელი/13 650 000	2000
ენტონი მეისონი	5 წელი/20 000 000	2000
ბრედ მილერი	1 წელი/365 000	2000
დეილ ელისი	3 წელი/6 000 000	2001
ელდრიჯ რეკასნერი	4 წელი/5 000 000	2002
ედი რობინსონი	1 წელი/600 000	2000
დევიდ ვესლი	7 წელი/22 000 000	2004

ჩიკაგო ბულზი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
ბი ჯეი არმსტრონგი	1 წელი/1 000 000	2000
რონ არტესტი	4 წელი/4 000 000	2003
კორი ბენჯამინი	4 წელი/2 400 000	2002
კრის ენსტი	3 წელი/2 935 600	2000
ელტონ ბრენდი	4 წელი/12 729 000	2003
რენდი ბრაუნი	5 წელი/5 800 000	2000
ფრედ ჰოიბერგი	1 წელი/800 000	2000
მეტ მელოუნი	1 წელი/600 000	2000
ვილ პერდიუ	2 წელი/7 000 000	2001
ჰერსი ჰოკინსი	5 წელი/18 300 000	2001
ტონი კუკოჩი	6 წელი/24 500 000	2000
დიკი სიმპკინსი	1 წელი/2 300 000	2001
მაიკლ რაფინი	4 წელი/2 900 000	2003

ვარსკვლავთცვლა ინდიანაში

ლარი ბერდის ადგილი აიზია ტომასმა დაიკავა



აიზია ტომასი

დაიბადა 1961 წლის 30 აპრილს ჩიკაგოში.
1981 წელს ინდიანას უნივერსიტეტის რიგებში გახდა ამერიკის ჩემპიონი სტუდენტთა შორის.
1981 წლის დრაფტში მეორე ნომრად აირჩია „დეტროიტ პისტონზმა“, სადაც 1994 წლამდე ითამაშა და კარიერა დაასრულა.
1989 და 1990 წლებში გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი.
1990 წლის ფინალის უძვირფასესი მოთამაშე.
12-ჯერ მიიღო მონაწილეობა „ოლ სტარზში“, ორჯერ (1984, 1986) გახდა მისი უძვირფასესი მოთამაშე.
დასახელებულია ნბა-ს ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის, არის „საკალათბურთო დიდების დარბაზის“ წევრი.
2000 წლის 20 ივლისს დაინიშნა „ინდიანა პეისერზის“ მთავარ მწვრთნელად.

NBA

როგორც იქნა, ყველაფერს ნათელი მოეფინა — „ინდიანა პეისერზის“ მთავარი მწვრთნელის სკამზე, რომელიც ლარი ბერდმა დაახლოებით თვენახევრის წინ დატოვა, 80-90-იანი წლების ლეგენდარული კალათბურთელი აიზია ტომასი მოკალათდება. მართალია, მასა და „ინდიანას“ შორის ოფიციალური კონტრაქტი გუშინწინ, 20 ივლისს გაფორმდა, რომლის მიხედვითაც ტომასი ოთხ წელიწადში 20 მილიონს მიიღებს, მაგრამ ბერდის შემცვლელის ვინაობა კარგა ხნის წინ იყო ცნობილი. ტომასს კონკურენტებიც ჰყავდა, თავდაპირველად ორი — ყოფილი მთთამაშე ბაირონ სკოტი და ბერდის ასისტენტი რიკ კარლაილი. ორიოდ კვირის წინ სკოტმა გაურკვევლობაში ყოფნა არ ისურვა, „ნიუ ჯერსის“ შემოთავაზებულ წინადადებას დაყაბულდა და ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა. კარლაილი ბოლომდე ელოდა, რომ დააწინაურებდნენ, მაგრამ იმედები გაუცრუვდა და ახლა იმას ფიქრობს, დათანხმდეს ტომასის თანაშემწეობას თუ არა.

ვიცე-ჩემპიონთა ახალდანიშნულ თავკცას იოლი ცხოვრება ნამდვილად არ ელის. ტომასის გუნდში მისვლისთანავე მრავალმა მსხვილმანმა თუ წვრილმანმა პრობლემამ იჩინა თავი. გუნდიდან წასვლა განუზრახავს მწვრთნელის თანაშემწე რიკ კარლაილს. გარდა ამისა, ტომასს დიდი ოფლის ღვრა მოუწევს, ეს შეკრული გუნდი თვალსა და ხელს შუა არ დაეშალოს. ამ ზაფხულს კონტრაქტი დაუსრულდა გუნდის ლამის ყველა წამყვან მოთამაშეს. თავისუფალ აგენტებად იქცნენ სასტარტო ხუთეულის წევრები — რეჯი მილერი, მარკ ჯექსონი, ჯალენ როუზი, რიკ სმიტსი და ოსტინ კროშერი. თუ არ უნდა, რომ ვიცე-ჩემპიონი გუნდისაგან მხოლოდ სახელი დარჩეს, ტომასმა თავი უნდა მოიკლას და ეს ხალხი როგორმე თავისთან დატოვოს. ჰოლანდიელი ცენტრის, რიკ სმიტის დაყოლიება ყველაზე მეტად გაუჭირდება, რადგან მან გადაწყვიტა, კალათბურთს თავი დაანებოს და ალბათ აღარც გადათქვამს. ასეა, შემადგენლობის შენარჩუნება ტომასის მთავარი საზრუნავი იქნება.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ 39 წლის აიზიას სიცოცხლეში არ უმუშავია მწვრთნელად, თუნდაც ბავშვების. ასე რომ, იგი თავის საქმეში ახალბედაა და არავითარი გამოცდილება არ აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ მის გუნდში მოსვლას წინ უსწრებდა კლუბის არსებობის მანძილზე ყველაზე წარმატებული სამწლიანი ეპოქა, რომლის შემდეგაც, არაა გამორიცხული, „პეისერზს“ ჩავარდნა დაეწყოს. ასე რომ, როცა კონტრაქტი გააფორმეს, ტომასმაც და კლუბმაც ძალიან გარისკეს. თუმც ეს ჯერ არც ერთ მხარეს არ აღელვებს. „სამი წლის წინ ლარიმაც ზუსტად ასე დაიწყო. მაშინ ჩვენ სწორად მოვიქეცით, რომ გუნდი გამოუცდელ მწვრთნელს ჩავაბარეთ და ვფიქრობ, არც ამჯერად ვცდებით. აიზია დიდი კალათბურთელი იყო, თამაშში მთელ გულსა და სულს აქსოვდა და გამარჯვებისკენ მიილტვოდა. ალბათ, მწვრთნელიც ისეთივე იქნება, როგორიც მოთამაშე იყო. მოხარული ვარ, რომ იგი ჩვენთანაა“ — ამბობს კლუბის პრეზიდენტი დონი უოლში, რომელიც თავიდანვე ტომასის კანდიდატურას უჭერდა მხარს და აკი გაიტანა კიდეც თავისი. ცხადია, ტომასიც კმაყოფილია. „დიდი პატივია, დაიკავო ადგილი, რომელიც ლარი ბერდს ეკუთვნოდა. ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდში მუშაობა მიხდება, ვფიქრობ, ჩემი აყვანით კლუბის ხელმძღვანელებმა „ინდიანა“ ბოლო ადგილისთვის არ გაწირეს“ — ხუმრობს მარად სახეგაბადრული აიზია ტომასი. მან თავისი გეგმებიც ამცნო ხალხს: საქმისთვის თავს არ დავზოგავ, ოღონდ ჩემი პროგრამა ცოტა გრძელვადიანია და თუ გუნდში ცვლილები მოხდა (ალბათ, ლიდერთა წასვლას გულისხმობდა), სამომავლოდ ახალი გუნდის მშენებლობას ითვალისწინებსო.

გარდა იმისა, რომ ლარი ბერდი „ინდიანას“ ყოფილი, ტომასი კი ახალი თავკაცია, ამ ორ ლეგენდარულ კალათბურთელს კიდევ ერთი რამ აერთიანებთ. ორივეს ინდიანას უნივერსიტეტში უსწავლია. ტომასი იქ ბერდის წასვლის შემდეგ, 1979 წელს ჩაირიცხა, ამიტომ მათ ერთმანეთის გვერდიგვერდ თამაში არ მოუხდათ, მაგრამ უნივერსიტეტს ცალ-ცალკეც მოუტანეს სტუდენტური ლიგის ჩემპიონობა — ბერდმა 1979 წელს, ტომასმა კი ორი წლის შემდეგ. ტომასის კარიერა და წარმატებებიც გავიხსენოთ. მისი მთავარი მიღწევა ის გახლავთ, რომ ზედიზედ ორჯერ, 1989 და 1990 წლებში, „დეტროიტი“ ჩემპიონი გახადა, იმ დროს კი ლიგაში ისეთი გიგანტები თამაშობდნენ, როგორებიც მაიკლ ჯორდანი, ლარი ბერდი, მეჯიქ ჯონსონი და ქარიმ აბდულ-ჯაბარი იყვნენ. სწორედ მაშინ იქცა აიზია ტომასი ლეგენდარულ კალათბურთელად. ოთხი წლის წინ იგი შეიყვანეს ნბა-ს ყველა დროის 50 უძლიერეს კალათბურთელსა და ხუთ უძლიერეს გამთამაშებელს შორის. ტომასმა ცამეტი ფანტასტიკური სეზონი გაატარა ლიგაში და კალათბურთს თავი მაშინღა დაანება, როცა უმძიმესი ტრავმა მიიღო — აქილევსის მყესი გაიწყვიტა. რამდენიმე თვის წინ იგი „დიდების დარბაზში“ აირჩიეს.

ირაკლი ფირაშვილი

ჭრილობა Perla

პ ე რ ლ ა

ჭრილობა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

კოსტავას 47

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანული შამათი

შტუტგარტი, გერმანია. „მერსედესის თასი“. თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $

პირველი, უხმაუროდ და უსენსაციოდ ჩავლილი წრის შემდეგ შტუტგარტში მიმდინარე „მერსედესის თასი“ თავდაყირა დადგა.

სეზონის უკანასკნელ დიდ სათიხნარო ტურნირზე დევისის თასზე დაკავებული ესპანელების გარდა თითქმის ყველა წითელი თიხნარის ოსტატი ასპარეზობს. სტიმულიც არ გახლავთ ურიგო: 158 ათასი დოლარის გარდა გამარჯვებულს ახალთახალი სპორტული კაბრიოლეტი „მერსედესი“ გადაეცემა.

შარშან ქათქათა მანქანის გასაღები „ჩემპიონთა რბოლა 2000-ის“ ლიდერ მაგნუს ნორმანს ერგო, თუმცა ავტოფარეხის კიდევ უფრო შევსებას სკანდინავიელი წლეულს ვეღარ მოახერხებს.

ნორმანის მეტოქე მეორე წრეში გერმანელი დანიელ ელსნერი იყო. 21 წლის ჩოგბურთელი თავის დროზე ბუნდესქვეყნის დიდ იმედად და მომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა, მაგრამ იუნიორობაში მოპოვებულ ხმაურიან ტიტულებს პროფესიონალებში ვერაფერი შეჰმატა.

კლასიფიკაციით 129-ე ელსნერს წლეულს ATP ტურნირზე ერთი მატჩიც არ გაემართა, უფრო დაბალი ეშელონის სატელიტებსა და ჩელენჯერებზე ასპარეზობდა და შტუტგარტის ტურნირის ძირითად ბადეშიც მხოლოდ ორგანიზატორთა მიერ გულმოწყალედ ნაჩუქები „უაილდ ქარდით“ მოხვდა.

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ გერმანელი სტაბილურობის მაგალითი ნორმანს რაიმეს დააკლებდა, მაგრამ ჩოგბურთში წინდაწინ არაფრის თქმა არ შეიძლება.

შვედმა პირველი სეტი ასე თუ ისე იოლად, 6:4 მოიგო, აი, მეორეში კი ელსნერი სახელოვან მეტოქეს არაფერში ჩამორჩა. ახალგაზრდა, ზორბა გერმანელმა თავისი მძლავრი მოწოდება აამუშავა და ნორმანს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაანება. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც, ყველასათვის მოულოდნელად, ელსნერი უშეცდომოდ გაისარჯა და საერთო ანგარიშის გათანაბრება დიდი დავი-დარაბის გარეშეც მოახერხა.

ნორმანი, რომელიც ასეთ წინააღმდეგობას აშკარად არ ელოდა, გადამწყვეტ ხელში დაბნეული ჩანდა. იმის მაგივრად, რომ თავხედი ახალბედასათვის ჭკუა ესწავლებინა, მან შეცდომებს უმატა, მეტოქის რისკიან თამაშს ფეხი ვერ აუწყო და, სამი მატჩ-პოინტის გადარჩენის მიუხედავად, 6:4, 6:7 (2:7), 4:6 დამარცხდა.

ნორმანზე არანაკლებ გაოგნებული



REUTERS სანტანდერიდან

ალბერტ კოსტა

ევგენი კაფელნიკოვი

თავად ტრიუმფატორი დარჩა. „ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მატჩია. თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ტაი-ბრეიკის მოგებამ დამაწყნარა. ვიცოდი, რომ მთავარი იყო, ემოციებს არ ავყოლოდი და ყურადღება არ გამფანტვოდა. მე დასაკარგი არაფერი მქონდა, თანაც მაყურებლების მხარდაჭერაც დამეხმარა. სტადიონზე ფანტასტიკური ატმოსფერო სუფევდა, ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძვნია“.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა ტურნირის შარშანდელი ფინალისტსა და მასპინძელთა მთავარ ჯილა ტომი ჰაასს. ნიკ ბოლეტიერის აკადემიის აღზრდილი წლეულს კარგ შედეგებზე მეტად ნაირფერი ტრავმების სიმრავლით გამოირჩევა. ამჯერად გერმანელს თანამემამულე რაინერ შუტლერთან შეხვედრის მიტოვება მეორე სეტის დასაწყისში, 5:7, 1:2-ზე მოუხდა.

„თავიდან მხოლოდ ნეკნი მტკიოდა, მაგრამ მერე ამის გამო კუნთიც დამეჭიმა და წესიერად სუნთქვას ვეღარ ვახერხებდი“ — ჰაასს მართლაც ცუდად ჰქონია საქმე.

მეორე წრე უკანასკნელი აღმოჩნდა ორი რუსი ვარსკვლავისთვისაც — მისი გადალახვა ვერც ევგენი კაფელნიკოვმა (2) და ვერც მარატ საფინმა (3) მოახერხეს.

გაპროფესიონალების შემდეგ პირველადაა, რომ სოჭელ ჟენიას ამდენი ხნის მანძილზე ტურნირი არ მოუგია. სეზონის დასაწყისიდან უკვე მეშვიდე თვე იწურება, კაფელნიკოვს კი ანგარიშზე არც ერთი ტიტული და ფინალში ორი მარცხი აქვს.

ხუთშაბათ საღამოს დაწყებული მისი შეხვედრა ძველ მეტოქე-მეგობარ ანდრეი მედვედევთან სიბნელის გამო მაშინ შეწყდა, როცა ორი სეტის შემდეგ ანგარიში საყიმო იყო. გუშინ შუადღით კი უკრაინელმა გაცილებით უკეთ იასპარეზა 6:7 (4:7), 7:5, 6:3.

რაც შეეხება საფინს, მასზე როლან გაროსის მეორე წრეში წაგებისთვის კოლორიტულმა ავსტრალიელმა ენდრიუ ილიმ იძია შური 7:6 (7:4), 7:6 (7:4).

მერვედფინალი: კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — იუნეს ელ აინაუი (4, მაროკო) 6:3, 6:2; ფრანკო სკილარი (5, არგენტინა) — მარკ-კევინ გოლნერი (გერმანია) 4:6, 6:2, 6:3; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — ქარიმ ალამი (7, მაროკო) 5:7, 6:3, 6:4; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 6:2

ხორვატიის საერთაშორისო პირველობა. უმაგი. თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

მერვედფინალი: მარსელო რიოსი (2, ჩილე) — გერმან პუენტესი (ესპანეთი) 6:3, 6:2; ბერგდან ულირახი (ჩეხეთი) — ალბერტ პორტასი (3, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:1; კარლოს მოია (4, ესპანეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:3, 6:3; მარტინ დამი (7, ჩეხეთი) — სერხიო ბრუგერა (ესპანეთი) 6:3, 1:6, 6:3.

პოლონეთის ღია პირველობა. სოპოტი. თიხნარი. საპრიზო 180 ათასი $

მერვედფინალი: კონჩიტა მარტინესი (1, ესპანეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 3:6, 6:2, 6:4; ანკე ჰუბერი (2, გერმანია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:3, 6:3; ბარბარა შეტი (3, ავსტრია) — მაგდალენა გრეიბოვსკა (პოლონეთი) 6:4, 6:3; პატი შნიდერი (4, შვეიცარია) — სილვია ფარინა (იტალია) 4:6, 6:2, 6:2; ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 2:6, 6:2, 6:0.

დევისის თასი

ნახევარფინალი

ესპანეთი 1:0 აშშ



ამერიკელთა კაპიტნის, ლეგენდარული ჯონ მაკინროის შინი, როგორც ეტყობა, მართლდება: ესპანელთა დამარცხება მათივე საყვარელ თიხნარზე ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის დახმარებითაც მეტად რთული იქნებოდა, მათ გარეშე კი — თითქმის შეუძლებელი ჩანს.

გუშინ ერთეულთა პირველ მატჩში როლან გაროსის მეოთხედფინალისტმა ალბერტ კოსტამ დამაჯერებლად დაჯაბნა ვეტერანი ტოდ მარტინი 6:4, 6:4, 6:4 და თავისიანები დააწინაურა.

ავთანდილ სვანიძე

ნიკ მალეტი ქომაგებს: ნუ გეშინიათ, არ გვეშინია!

REUTERS კრაისტჩერჩიდან

სამხრეთაფრიკელთა მთავარი მწვრთნელი ნიკ მალეტი და ვილი მეიერი ახალზელანდიელებთან მატჩის წინ ჩინებულ გუნებაზე არიან

„ჩვენ მათ განავარდების საშუალებას არ მივცემთ, დაცვაში ძალიან ხისტად ვითამაშებთ“ — განაცხადა სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკ მალეტმა. დღეს სამი ერის პირველობაზე, მისი გუნდი ახალ ზელანდიას ეთამაშება სტუმრად.

ავსტრალიასთან ბრწყინვალე თამაშის შემდეგ „ოლ ბლექსს“ განახლების გზაზე მდგომი „ქურციკების“ წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. ეს კი დიდ სირთულეს რომ არ წარმოადგენს, ცოტა ხნის წინ ინგლისელებმაც დაამტკიცეს, როცა სამხრეთ აფრიკაში პირველი ტესტის წაგების შემდეგ რევანშის აღება მოახერხეს.

„ქურციკებმა“ მას მერეც იგემეს მარცხი — ორი კვირის წინ ავსტრალიასთან. ეს ორი ნაკრები „მანდელა სინს“ შეეცილა ერთმანეთს, რომელიც პირველად გათამაშდა და ამიერიდან ტრადიციად იქცევა. მელბურნში ჩატარებული მატჩის პირველი ტაიმი სტუმრებისა იყო, მეორეში ოზებმა აიწყვიტეს და მოიგეს კიდეც.

იმავე ავსტრალიას ერთი კვირის წინ ახალი ზელანდიაც ესტუმრა და სამი ერის პირველობას გახსნის შეხვედრაშიც აჯობა. იმ მატჩზე ყველა მნახველი ამბობს, ასეთი ლამაზი თამაში არასოდეს გვინახავს და, ალბათ, ვერც ვეღარასოდეს ვნახავთო.

ასე რომ, უახლესი წარსულით თუ ვიმსჯელებთ, უპირატესობა ახალზელანდიელთა მხარესაა და მათ არც უნდა გაუჭირდეთ სამხრეთაფრიკიკელთა დამარცხება. კრაისტჩერჩის „ჯეიდ სტედიუმზე“, რომელიც, ალბათ, პირთამდე გაივსება. მეტოქის ფავორიტობას სამხრეთაფრიკელებიც აღიარებენ, მაგრამ მთლად უიმედოდ არც ჩვენ ვართო, გაიძახიან. მათ დასაკარგი მართლაც არაფერი აქვთ, შესაბამისად ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არ იქნებიან და ამან ეგებ მათ სასარგებლოდაც იმოქმედოს. „ისინი ძალიან ძლიერად, წარმოუდგენლად ძლიერად თამაშობენ, მაგრამ ეს სულაც არ გვორგუნავს. პირიქით, საბრძოლოდ აღგვაზნებს. თითოეული ჩვენგანი მინდორზე ბოლომდე დაიხარჯება და დარწმუნებულნიც ვართ, გამარჯვება შეგვიძლია“ — თქვა ანდრე ფენტერმა, ვისაც ახალზელანდიელების წინაალმდეგ უკვე 10 ტესტში უთამაშია.

გუნდების შემადგენლობებში რამდენიმე სიახლეა. „შავებში“ მარკ რობინსონმა, „ქურციკებში“ კი ვერნერ სვონეპელმა დაიბევეს ძირითადში ადგილი. რა თქმა უნდა, ამ ორი მორაგბის თამაშში თავიდანვე ჩართვა დიდი მოულოდნელობა არაა, მაგრამ მაინც, ორივემ დაამტკიცა, რომ საკმაოდ მაღალი დონის მორაგბეა და ძირითადში ადგილს იმსახურებენ. სვონეპელის ნდობა იმ ვარაუდსაც ადასტურებს, რომ ნიკ მალეტი ნელ-ნელა იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენს კარისკენ უბიძგებს.

დანარჩენი სიახლეები კი მოულოდნელი ნამდვილად არაა. ახალი ზელანდიის რიგებს ჯოშ კრონფელდი დაუბრუნდა და ტეინ რენდელსა და რონ კრიბთან ერთად შერკინების საოცნებო მესამე ხაზს შექმნის. ამ სამეულის წინ კაპიტან ტოდ ბლეკედერს, ავსტრალიასთან მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად ნორმ მაქსველის ნაცვლად ოკლენდელი ტროი ფლეველი შეუწყვილდება.

თუ „შავების“ მთავარი მწვრთნელის, უეინ სმიტის მიერ განხორციელებული ცვლილებები ტაქტიკური ხასიათისაა, ნიკ მალეტი ტრავმებმა აიძულა, ორი მორაგბე შეეცვალა. სამმეოთხედელი იაპი მულდერის ადგილს ახალგაზრდა დევეტ ბარი დაიკავებს. ტვინშერყეული კრეინო ოტოს ნაცვლად კი შერკინების მეორე ხაზში ვეტერანი, ანდრე ფენტერი გაირჯება, რომლის მაგივრადაც მესამე ხაზში რასი ერაზმუსი დადგება. გარე ნახევარმცველის ამპლუაში კი ლუი კუნის ნაცვლად ბრაამ ფან სტრაატენი ითამაშებს.

გაიოზ თალაკვაძე

საკვარაუდო შემადგენლობები

ახალი ზელანდია: კრისტიან კალენი, ტანა უმაგა, მარკ რობინსონი, პიტა ალატინი, ჯონა ლომუ, ენდრიუ მერთენსი, ჯასტინ მარშალი, ჯოშ კრონფელდი, რონ კრიბი, ტეინ რენდელი, ტოდ ბლეკედერი (კაპ.), ტროი ფლეველი, კის მეუსი, ანტონ ოლივერი, კარლ ჰოფტი; სათადარიგონი: ლეონ მაკდონალდი, ტონი ბრაუნი, ბაირონ კელეჰერი, სკოტ რობერტსონი, ნორმ მაკსუელი, კრეიგ დაუდი, მარკ ჰემიტი

სამხრეთ აფრიკა: პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსე, რობი ფლეკი, დევეტ ბარი, ტინუს დელპორტი, ბრაამ ფან სტრაატენი, ვერნერ სვონეპელი, კორნე კრიხე, ანდრე ფოსი (კაპ.), რასი ერაზმუსი, ანდრე ფენტერი, ალბერტ ფან დენ ბერგი, კობუს ფისახი, ჩარლ მარე, რობი კემპსონი; სათადარიგონი: ჩესტერ უილიამსი, გრანტ ესტერჰოიზენი, იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენი, უორენ ბროსნიჰანი, ვილი მეიერი, ოლი ლერუ, ჯონ სმიტი

ფიცი გვწამს, ბოლო...

ჯეიმს ტორპი

დორანდო პიეტრის ფინიშთან ერთი მსაჯი და „შერლოკ ჰოლმსის“ ავტორი დაეხმარა, რამაც იტალიელს გამარჯვებაც მოუტანა და დამარცხებაც

დამიბრუნეთ ჩემი მედლები!

ამბობენ, სიკვდილამდე ერთი ამოსუნთქვით ადრე ეს სიტყვები აღმოხდა 64 წლის ჯეიმს (ჯიმ) ტორპს, ვინც მრავალი წლის განმავლობაში ელოდა უსამართლოდ ჩამორთმეული ოლიმპიური ოქროს მედლების დაბრუნებას.

ჯეიმს ტორპმა 1912 წელს სტოკჰოლმის V ოლიმპიალურ თამაშებზე ხუთჭიდელთა და ათჭიდელთა შეჯიბრებებში მოიპოვა ოქროს მედლები. ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის (სეკ ენდ ფოკსი) ამ წარმომადგენელს ოქროს მედლები და დაფნის გვირგვინი თვით შვეიცის მეფემ გუსტავ V გადასცა, ისიც დააყოლა, რომ ტორპი ყველა დროის უდიდეს ათლეტად მიმაჩნიაო.

მართლაც, ტორპმა „ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო ათჭიდელის“ სახელი დაიმსახურა. სტოკჰოლმში, სამეფო სტადიონზე ტორპის მიერ ნაჩვენები შედეგები შთამბეჭდავი კი არა, დაუჯერებელიც იყო. ათჭიდში ტორპმა ფანტასტიკური შედეგი, 8412 ქულა მოაგროვა და მთელი 690 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე მყოფი შვედი ვისლანდერი.

შინ დაბრუნებულ ტრიუმფატორს შეხვედრებს უწყობდნენ სენატორები და კონგრესმენები. ინდიელს წარმატება პირადად მიულოცა ამერიკის პრეზიდენტმა ვილიამ ტაფტმა...

და მაინც, ჯეიმს ტორპის სახელს ვერ ნახავთ ოლიმპიურ ჩემპიონთა სიაში. ამ კაცის სახელი და გვარი, დაბადების მოწმობის მიხედვით, იყო კაცხო ხუკი, რაც „მბრწყინავ ბილიკს“ ნიშნავს, მაგრამ ოლიმპიურ ჩემპიონთა სიაში ვერც ამ გვარ-სახელიან კაცს ამოიკითხავთ.

ჯეიმს ტორპისთვის უბედურება მისი ფერადი კანი შეიქნა. ტორპის წარმომავლობამ გააღიზიანა ამერიკელი რასისტები, რომლებიც იმხანად ძალზე სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. მათ გადაწყვიტეს ტორპისთვის ნებისმიერ ფასად ჩამოერთვათ მედლები.

ტორპის ორივე ოქროს მედლის ჩათვლით ამერიკელ ოლიმპიელებს 25 ასეთი ჯილდო ჰქონდათ, შვეიცის დელეგაციას — ერთით ნაკლები. თუ ტორპს მედლებს ჩამოართმევდნენ, მაშინ ამ ორ ქვეყანას შორის ადგილები იცვლებოდა, მაგრამ ამას არად დაგიდევდნენ ამერიკელი რასისტები. მათ იმდენი ქნეს, რომ მიზანს მიაღწიეს, ოლიმპიური თამაშებიდან 10 თვის მერე მათ გამოჩხრიკეს ტორპის წარსული და აღმოაჩინეს, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე ორი წლით ადრე, იგი თურმე ბეისბოლს თამაშობდა ერთ-ერთ ნახევრადპროფესიულ გუნდში, რისთვისაც თვეში 60 დოლარს იღებდა. აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის ე.წ. რასობრივი პრობლემების ჯგუფის წევრებმა ტორპი სამოყვარულო სტატუსის დარღვევაში დაადანაშაულეს.

— 1909-10 წლების ზაფხულის არდადეგებისას მე მართლაც ვთამაშობდი ბეისბოლს ჩრდილოეთ კაროლინის ერთ-ერთ გუნდში. თამაშობდნენ ჩემი სხვა კოლეგებიც, რომლებიც დღემდე მოყვარულებად რჩებიან. სტოკჰოლმიდან დაბრუნების შემდეგ ათობით ათას დოლარს მთავაზობდნენ, რათა პროფესიონალი გავმხდარიყავი, მაგრამ ყველა წინადადებაზე უარი ვთქვი, რათა მოყვარულის სტატუსი შემენარჩუნებინა. თურმე ამაო ყოფილა ყველაფერი — იხსენებდა ჯეიმს ტორპი.

ასე იყო თუ ისე, ამერიკელებმა საჩივარი სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებთან აფრინეს, იმათ კი ამ საშარო საქმის გადაწყვეტა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს დელიკატურად გადაულოცეს. სოკ-მა დიდი ყოყმანის მერე 1913 წლის 23 მაისს უსამართლოდ გადაწყვიტა: „ჩამოერთვას ოქროს მედლები ხუთჭიდსა და ათჭიდში ამერიკის მოქალაქეს ჯიმ ტორპს და გადაეცეს ისინი, შესაბამისად, მეორე ადგილზე გასულ ნორვეგიელ ფერნანდ ბის და ჰუგო ვისლანდერს“.

ვისლანდერმა ეს რომ გაიგო, აღშფოთებულმა თქვა:

— მე იმდენად შეამაყება ჩემი ვერცხლის მედალი, რომ არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ სხვის ოქროს. ოლიმპიური თამაშები მოიგო ჩვენს შორის ყველაზე ღირსეულმა და უმაღლესი ჯილდოც მხოლოდ მას ეკუთვნის.

დაუმსახურებელ ოქროზე უარი თქვა ნორვეგიელმაც. სხვებმაც მრავლად გამოთქვეს ზეპირი თუ წერილობითი პროტესტი, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

საქმეს ვერც ათას ინსტანციაში ტორპის სირბილმა და თხოვნამ უშველა.

1973 წელს აშშ-ს სამოყვარულო მძლეოსანთა კავშირის ბიულეტენში დაიბეჭდა ცნობა, რომ V ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ხუთჭიდსა და ათჭიდში ჯიმ ტორპს აღუდგინეს მოყვარული სპორტსმენის სტატუსი

მაგრამ რეაბილიტაციამ 60 წლით დაიგვიანა. იმ დროს ტორპი 23 წლის მკვდარი იყო.

ყველაზე სკანდალური

ოლიმპიურ თამაშებზე მსაჯთა და ოფიციალურ პირთა ნებსით თუ უნებლიე შეცდომით არაერთი სპორტსმენი დაჩაგრულა. ამ მხრივ ყველაზე სკანდალური ოლიმპიადა იყო იგივე სტოკჰოლმური ბატალიები. მას სწორედ ასე შეარქვეს: „ყველაზე სკანდალური ოლიმპიადა“.

ამ თამაშებზე მსაჯობით უმაყოფილონი იყვნენ დამარცხებულნიცა და გამარჯვებულნიც. და ეს ხდებოდა იმ ოლიმპიურ თამაშებზე, რომელზეც მეტი სიზუსტისა და ობიექტურობისთვის პირველად გამოიყენეს ელექტროგამზომი აპარატურა, ფოტოფინიში და საინფორმაციო ტაბლო.

და მაინც, მსაჯებს ვერაფერი მოუხერხეს. შვედი მსაჯები თანამემამულეების სასარგებლოდ სრულიად აშკარად იჩენდნენ მიკერძოებას. მაგალითად, ტყვიის მსროლელთა პაექრობისას ძლიერ გაწვიმდა, მაგრამ სპორტსმენები ცეცხლის ხაზს მაინც არ ტოვებდნენ. მასპინძლებმა თანამემამულეთ უმალ მოუწყეს სახურავი, სადაც სხვა ქვეყნის მსროლელთ არ აჭაჭანებდნენ. ამის მერე საკვირველი სულაც აღარ იყო, რომ შვედებმა 18-დან 7 ოქროს, 6 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

სკანდალური ისტორიების გაქარწყლების მიზნით მასპინძლებმა ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალის შემდეგ ზედ სტადიონზე გრანდიოზული ბანკეტი მოაწყვეს. იქ ყველა მიიწვიეს, გარდა მსაჯებისა.

საინტერესოა, რომ ოლიმპიური თამაშების ბოლო დღეებში საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობა ლამის მთლიანად შთანთქა პროტესტებმა თუ საჩივრებმა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იძულებული გახდა თავისი ერთ-ერთი აქტიური მოღვაწისთვის, კარლ ვენინგენისთვის (თუ ვინინგენი) დაევალებინა ყველა პროტესტისა და წინადადების შეკრება, დამუშავება და გამოცემა, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორებულიყო. ეს დოკუმენტი მოკრძალებული სახელწოდებით, „შენიშვნები და წინადადებები ოლიმპიური თამაშების გასაუმჯობესებლად“ 1913 წელს გამოიცა.

მსაჯთა მიკერძოება თუ უნებლიე შეცდომები, ცხადია, ვერც პროტესტებმა აღმოფხვრა, ვერც ბანკეტზე მათმა დაუპატიჟებლობამ [illegible] ვენინგენის „შენიშვნებმა და წინადადებებმა“.

ოლიმპიელ მსაჯთა და ოფიციალურ პირთა შეგნებულ უსამართლობაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, უნებლიე ლაფსუსებიდან კი გავიხსენებთ ერთს, რომელიც ქრესტომათიულ მაგალითად ითვლება.

დიდი იტალიელი

ლონდონის IV ოლიმპიურ თამაშებზე იტალიელი დორანდო პიეტრის არც ოქროს მედალი მოუპოვებია, არც ვერცხლისა და ბრინჯაოსი, მაგრამ იგი იმ თამაშების უპირველეს გმირად აღიარეს, ეგ კი არა, დორანდო პიეტრომ მარათონული დისტანციაც კი ვერ დაამთავრა.

მაშინ დორანდოსთან ერთად 16 ქვეყნის 56 სპორტსმენმა აიღო სტარტი, მაგრამ ქანცგაწყვეტილნი ერთი მეორეს მიყოლებით ტოვებდნენ დისტანციას. 20 კილომეტრის მერე მარათონის მონაწილენი განახევრდნენ კიდეც. ბოლო კილომეტრებზე იტალიელი ისე დაწინაურებულიყო, რომ უახლოესი მდევრები მის დაწევას კი არა, როგორმე ფინიშამდე მიღწევასღა ლამობდნენ.

და აი, სტადიონი მჭუხარე ტაშითა და ოვაციებით ეგებება იტალიელს, მაგრამ იგი უკვე ძალაგამოცლილია, იმდენად ძალაგამოცლილი, რომ ველარც აზროვნებს. „უაიტ სიტის“ სარბენ ბილიკზე ნაცვლად იმისა, რომ მარცხნივ გაიქცეს, მარჯვნივ მიემართება. მსაჯები ძლივს ახერხებენ მის სწორ გზაზე დაყენებას. ფინიშამდე რაღაც ოცდიდ მეტრიღა რჩება და ქანცგაწყვეტილი დორანდო სარბენ ბილიკზე ვარდება. მერე ისევ დგება, ერთ-ორ ნაბიჯს დგამს და ისევ ვარდება. კვლავ იკრებს ძალას, კვლავ ორიოდე ნაბიჯით უახლოვდება ცხვირწინ გაბმულ ფინიშის ლენტს და ისევ ვარდება.

მდევრები კი მაინც არ ჩანან. იტალიელი ისევ პირველია. შეუძლია ფინიში ხოხვითაც გადაკვეთოს, იქამდე 15 მეტრიღა აშორებს. ამის შემყურე ორი ადამიანი ნერვებს ველარ იმორჩილებს, მირბის დორანდოსთან, ფეხზე აყენებს და ფინიშამდე მილასლასებაში ეხმარება.

იმ ორი დამხმარიდან ერთი მსაჯი იყო, მეორე, როგორც ოლიმპიური თამაშების იმდროინდელი მემატიანენი იუწყებიან, გახლდათ „შერლოკ ჰოლმსის“ ავტორი სერ არტურ კონან დოილი, მაგრამ ისინი დამხმარენი კი არა, უნებლიედ ხელისშემშლელნი აღმოჩნდნენ.

დიდი სჯა-ბაასის მერე მსაჯთა კოლეგიამ დორანდო პიეტრის მაინც მიუსაჯა დისკვალიფიკაცია, რადგან მან ფინიშის ხაზი სხვათა დახმარებით გადაკვეთა.

მარათონელთა დაჯილდოების ცერემონიალის მერე იტალიელი ტრიბუნაზე მიიწვია დედოფალმა ალექსანდრამ და გადასცა ისეთივე თასი, როგორიც ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიიღო. პენსილვანიის ეპისკოპოსმა კი ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ მესაზე დორანდო პიეტრი ანუგეშა შემდგომში ლამის ოლიმპიურ დევიზად ქცეული სიტყვებით, მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე დრამატული ის იყო, რომ მსაჯთა შეცდომით მარათონული რბენის დისტანცია დაკანონებულზე (42 კილომეტრი და 195 მეტრი)... 600 მეტრით გრძელი ყოფილა. ასე რომ, იტალიელმა რეალურად სხვათა დაუხმარებლად დაასრულა დისტანცია, მაგრამ მსაჯებს გადაწყვეტილება აღარ შეუცვლიათ.

სპორტის ისტორიას მრავლად ახსოვს მსაჯთა უნებლიე შეცდომებით თუ მიზანმიმართული მიკერძოებით დაწერილი ამგვარი დრამატული ამბები. სპორტის ისტორიას ახსოვს ტრაგედიებიც, რაც მსაჯთა არაობიექტურობას მოჰყოლია. ისტორიას ახსოვს მრავალწლიან ომში გადაზრდილი ორი ქვეყნის ფეხბურთელთა პაექრობაც.

ამგვარ უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად 1968 წელს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მიიღეს საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ამ თამაშზე სპორტსმენთა ოლიმპიური ფიცის მსგავსად მსაჯთა ფიცის წარმოთქმასაც.

„ყველა მსაჯისა და ოფიციალური პირის სახელით ვფიცავ, რომ ამ ოლიმპიურ თამაშებზე მიუკერძოებელი სპორტული სულისკვეთების პრინციპების ერგულებით და წესების დაცვით შეასრულებთ ჩვენს ფუნქციებს“...

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებსო. სტოკჰოლის ოლიმპიური თამაშების მსგავსად მოსკოვის ოლიმპიური თამაშებიც სკანდალური გამოდგა. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ჩვენი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ვიქტორ სანეევის ამბავიც. იგი არც მოსკოვში, თავის მეოთხე ოლიმპიურ თამაშებზე დამარცხებულა „უბრალოდ“, მსაჯები ადგნენ და მის ახალგაზრდა თანაგუნდელს და მეტოქეს აჩუქეს ოქრო, ემანდ ბებერმა ხარმა ეს ჯილდო საბჭოეთს არ დაკარგვინოსო.

* * *

ანტიკურ სამყაროში მართლმსაჯულებისა და წესრიგის მცველის, ქალღმერთ თემიდას ძეგლი ორგან იყო აღმართული. პავსანიას ცნობით, თემიდას ქანდაკება თებეს გარდა ოლიმპიასაც ამშვენებდა. ეს, ალბათ, შემთხვევითი არ იყო — ოლიმპიაში ხომ ანტიკური ოლიმპიური თამაშები იმართებოდა და იქ თემიდას როლი ერთიორად იზრდებოდა...

ავთანდილ გურასაშვილი

გრემმა ლატაშა გაათამამა



REUTERS საარქივიდან

ჯონ გრეი: წასვლის დროც მოვიდა

გასაკვირი თუ გინდა, ეს არის! სიდნეის ოლიმპიადამდე ორი თვეც აღარ დარჩა და ზოგიერთი სახელოვანი მძლეოსანი სწორედ ახლა ჩაფლავდა. ამერიკული „ტრაიელსიდან“ ჯეფ ჰარტვიგისა და სი ჯეი ჰანტერის წარუმატებლობის ამბებზე უკვე გაცნობეთ, ახლა კი ერთი ცინცხალი ამბავიც, ლაგოსიდან მოსული.

იმ დიდ ქალაქში ნიგერიის პირველობა და ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს. 100 მეტრზე რბენაში ფრენსის ობიკელუს თუ ვინმე ხელს შეუშლიდა, არავის ეგონა. 21 წლის გრძელკანჭა ნიგერიელმა ივნის-ივლისში თავი ბევრჯერ გამოიჩინა, ხოლო ლოზანაში ამას წინათ ნაჩვენები 9,97 წამის შემდეგ იგი თვით მორის გრინის მეტად სერიოზულ მეტოქედ მიიჩნიეს. ახლა ნიგერიაში გეპარდივით მორბენლებს რა დალევს. აფრიკაა ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ობიკელუს ნახევარფინალშივე დამარცხება მოწმენდილ ცაზე მუხის გავარდნას ჰგავდა. მორბენალმა ჩავარდნის მიზეზი უმალ დაასახელა, სასტარტო სატეფული ისეთი უხეირო იყო, კარგი სტარტი ვერ ავიღეო. „რბოლამდეც ვიჩივლე ამის თაობაზე იქ, სადაც ჯერ არს, მაგრამ ყური არავინ მიგდო“ — შეწუხებული ჩანდა ობიკველუ და მისმა გულუბრყვილო საუთმა უფროსობაზე მაინც დადებითად იმოქმედა. ცხადია, ერთი უხეირო რბენისთვის ქვეყნის მთავარ სამძლეოსნო იმედს არავინ გაწირავდა. ობიკველუს ხელახლა რბენის ნება დაერთო და ისიც რის ვაი-ვაგლახით ფინალში მოხვდა, თუმცა ვაი ასეთ მოხვედრას — 100 მეტრის გარბენას 10,79 წამი მოანდომა.

ახლა ივან პედროსოს ამბავიც. კუბელი სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია და ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი, ამიტომ სიდნეიში, ბუნებრივია, ოქროზე ნაკლებს არაფრით მოინდომებს, ამ დროს კი სალამანკის საკმაოდ უჩინარ ტურნირზე მეოთხე ადგილი დაიკავა და თანაც, 7,94-მეტრიანი შედეგით (ასე დღეს ყოველი მეორე სიგრძეზე მხტომელი ხტება). პირველი იამაიკელი ჯეიმს ბეკფორდი გახლდათ (8,34მ), პედროსოს კი ძალთა სრული მობილიზება მართებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში „ტრაიელსი“ გრძელდება. მორის გრინისა და მაიკლ ჯონსონის გამორჩეული დაპირისპირების ამბავს იქით კვირამდე ვერ ველირსებით, მანამდე კი ერთ მორბენალს წარმოვიდგენთ, რომელმაც პროფესია წარმატებით იცვალა და ახლა ერთი მათგანია, ვისგანაც იანკებს მედლის აღება ეიმედებათ. 23 წლის ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონი წლევანდელ გაზაფხულამდე 100 მეტრზე თარჯრბენში გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ 400 მეტრზე რბენის მუზა ეწვია და გვარიან წარმატებებსაც გამოჰკრა ხელი. „ტრაიელსზე“ ლატაშა შეუდარებელი იყო, 49,87 წამი უჩვენა და დისტანცია დიდი უპირატესობით მოიგო. „ერთი ოცნება ამიხდა — კოლანდერი წარმატებას კომენტარს უკეთებს — ეს ისაა, რაც მუდამ მინდოდა, წინ კი მეორე უდიდესი მიზანი მაქვს, სიდნეის ოლიმპიადის ოქროს ვგულისხმობ“. კოლანდერის მიღწევათა მთავარ მიზეზს ბევრი ძებნა არ უნდა, ტრევორ გრემია მისი სახელი, რომელიც მარიონ ჯონსის მწვრთნელი გახლავთ. სწორედ გრემმა ურჩია მორბენალს 400 მეტრზე გადასვლა და ამ საქმეში გულმდგინედაც ავარჯიშა. ჯონსიც ბევრ სასიკეთოს ურჩევდა ამლევდა და რით უპასუხა ლატაშამ? 200 მეტრზე რბენა მოისურვა. ამ დისტანციაზე კი ჯონსმაც უნდა ირბინოს. კოლანდერი არავის გაუკრიტიკებია, ჯანსაღი კონკურენცია ამერიკელთათვის მთავარია და თუ ლატაში ჯონსს 200 მეტრზე აჯობებს, ამით საერთო საქმე არ წააგებს, მხოლოდ მარიონის პატივმოყვარულ გეგმას (სიდნეის 5 ოქრო) მოაკლდება ერთი აგური. კოლანდერი უხერხულობას მაინც გრძნობს და ჟურნალისტებთან თავს იმართლებს, ჯონსის დამარცხება არაა ჩემი იდეაფიქსი, საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი ბევრად უფრო მაინტერესებსო. იგი სიდნეიში სავარაუდოდ 4X400-იან ესტაფეტასაც ირბენს ჯონსის და სხვა ორის გვერდით.

„ტრაიელსზე“ მეტი საყურადღებო არაფერი მომხდარა. გუშინწინ ათჭიდელებმა პირველი სახეობა გაასრულეს და ნაჩვენები შედეგები გვარიანია. მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანს, კრის ჰაფინსს 4563 ქულა აქვს და ტომ პეპესს — 4451. მთავარი ბრძოლა გუშინ მათ შორის გაჩაღდებოდა და პეპესს არ დაუმალავს, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდა, დანარჩენ სახეობებში უფრო მაგარი ვარო, ხუთიდან სამზე მაინც განსაკუთრებით მიანიშნა. დენ ობრაიენის ლოცვებმა კი ნაყოფი ვერ გამოიღო, შეჯიბრის წინ ფეხი სასწაულებრივად ვერ მოურჩა და ოლიმპიადაც მისთვის უკვე დასრულდა. იგივე ხვედრი გაიზიარა 800 მეტრზე ვეტერანმა მორბენალმა და აშშ-ის რეკორდსმენმა, ჯონი გრეიმ. ნახევარფინალში მისი რბენა ერთობ ბებრული გამოვიდა და 40 წლის სპორტსმენმა ფინიშის გადაკვეთისთანავე ასეთი რამ თქვა: „მე მოვრჩი! უკვე ოფიციალურად ვეტერანი ვარ. დღეიდან ბილიკზე ჩემი ფეხი არ იქნება...“

დავით გულუა

ქართველ შვარცენეგერს ხან არაბი ატყვევებს, ხან ციკლონი ქვიშაში მარხავს, ხან...

არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც ადამიანს არ დაუდგამს ფეხი, მაგრამ მრავლად არიან ისეთები, რომელთაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეუბიჯებიათ? მცირერიცხოვანთა შორის დღეს თუ არა, მომავალში მაინც ქართველ ჯუმბერ ლეჟავასაც გაიხსენებენ, რომელმაც აგერ უკვე 6 წელი და 11 თვე, ანუ 2537 დღეა, რაც საქართველო დატოვა და ველოსიპედით მოგზაურობს. მან 1993 წლის 13 აგვისტოს რუსთაველი აიღო სტარტი და მას შემდეგ აზია, ავსტრალია, ოკეანეთი, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, ანტარქტიდა, დასავლეთ ევროპა და აფრიკის უმეტესი ნაწილი შემოიარა, უკან მოიტოვა 155 ქვეყანა და 417 ათასი კილომეტრი. ამჟამად იგი სამხრეთ აფრიკაშია. იოჰანესბურგიდან 15 ივლისს გამოგზავნილი ფაქსით გვატყობინებს, რომ პორტ-ელიზაბეტიდან მიემართება ბლუმფონტეინისკენ, საიდანაც ტანზანიისკენ აიღებს გეზს და შავი კონტინენტის რომელიმე დაბასა თუ ქალაქში თავისი დაბადების დღესაც აღნიშნავს.

ჩვენ თანამემამულეს, რომელსაც ათასგვარი სახელი შეარქვეს — „ადამანი-ლეგენდა“, „ქართველი ოდისევსი“, „კაცი პერპეტუუმ-მობილე“, „ტანმორჩილი შვარცენეგერი“, „ფოლადის მხედარი“, „ოპტიმისტი კავკასიელი“, „შშვიდობის დესპანი“, „კუნძულხტომია ველოსიპედზე“, „ვარჯიშითა სიკვდილისა მძლეველი“ — 23 ივლისს დაბადების 61-ე და 14 აგვისტოს მოგზაურობის 7 წელი უსრულდება.

ამ თარიღებთან დაკავშირებით გუშინ, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის სააგენტოს ხელმძღვანელმა გვანჯი მანიამ პრესკონფერენცია გამართა. მოწვეულ სტუმართა შორის მრავლად იყვნენ ჯუმბერ ლეჟავას ახლო ნათესავები, მეგობრები, მხარდამჭერები თუ უბრალოდ გულშემატკივრები, ჟურნალისტები.

თურმე მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის ჩვენი კოლეგა, როგორც ეს გვანჯი მანიამ გვაცნობა, ჯუმბერ ლეჟავას ხშირად ეკითხებიან ყველაზე მეტად სად გაუჭირდა, რამდენი ველოსიპედი გამოიცვალა, რა ენაზე ელაპარაკა ამა თუ იმ ქვეყნის მაცხოვრებლებს...

დავიწყოთ ბოლოდან. გარდა იმისა, რომ ჯუმბერ ლეჟავა ფლობს ქართულ, რუსულ, სომხურ, ინგლისურ თუ ესპანურ ენებს, თურმე ზოგიერთ ქვეყანაში შესვლის წინ იქაური ენის 40-50-მდე ძირითად სიტყვასაც სწავლობს. მაგალითად: წყალი, გზა, სად არის ესა თუ ის პუნქტი, სასტუმრო და ასე შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში 5 ათასი ენა და დიალექტი არსებობს, მაშინ მისი ასეთი მონდომება გასაგებიცაა.

რაც შეეხება ველოსიპედს, იგი ამჟამად მეცხრე, რომელიღაც კანადური ფირმის ველოსიპედზეა ამხედრებული.

ყველაზე მეტად სად გაუჭირდა? რამდენიმე სიძნელეზე შეჩერდეთ: 1991 წელს იემენის ომში მოხვედრილს უდაბნოში გაუთენებია, დილით კი თავს შეიარაღებული არაბი დასდგომია და დაუტყვევებია...

1995-ში ავსტრალიაში ციკლონმა „ბოშმა“ ველოსიპედიანად ქვიშაში ჩამარხა...

1998 წელს ესპანეთიდან პორტუგალიაში გადასულს მანქანა დაეჯახა და რამდენიმე დღე საავადმყოფოში გატარა... წლეულს კი აფრიკის ატლანტის სანაპიროებზე თავსხმა წვიმების, წყალდიდობების და შიმშილთან ერთად მალარიის ციებ-ცხელებაც გადაიტანა...

რაც შეეხება დარანჩენ ფათერაკებს, მათ მაშინ შეიტყობთ, როდესაც ჯუმბერ ლეჟავა საქართველოში დაბრუნდება, ეს კი 2001 წელს მოხდება.

სხვათა შორის, როგორც გვანჯი მანიამ გვითხრა, ჩვენი მგზავრი თურმე ყოველდღიურად 10-მდე გვერდს წერს, რაც შემდეგში სულ ცოტა, 3-ტომიან წიგნადაც გამოიცემა.

გიგა გურასაშვილი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ჯუმბერ ლეჟავამ იმ დღეს სარფში ხელი დაგვიქნია, დაგვემშვიდობა და გადაგვეკარგა

გალფიონი საავადმყოფოს გადაასტა ახლა ხომ გჯერა, მორის?!

ჟან გალფიონი

ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი ჭოკით მხტომელი ჟან გალფიონი, 23 მაისს ერთ-ერთი ფრანგული ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების საოპერაციო მაგიდაზე იწვა და ბედი ექიმებისთვის მიენდო. გალფიონეს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდა. თუმცა მადლიანმა დასტაქრებმა მძლეოსანი ფეხზე დააყენეს. ეგ, კი არა, მერე მოფერიანებულმა გალფიონმა ჭოკიც მოიმარჯვა და 8 ივლისს, მძლეოსანთა დიდი პრიზის ნიცის ეტაპზეც იასპარეზა, მაგრამ უხეიროდ, 5,50 მეტრზე გადებული თამასის დაძლევაღა მოახერხა. ცხადია, ასეთი შედეგით შორს, მით უფრო სიდნეიში გალფიონი ვერ გაფრინდებოდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაწესებული საოლიმპიადო ნორმა 5,60 მეტრია. ჰოდა, ადგა გალფიონი და ნიცის ტურნირიდან მოყოლებული, მწვრთნელ მორის უვიონთან ერთად თავდაუზოგავ ვარჯიშს შეუდგა. დაუფასდა კიდეც — გუშინწინ დიეონში, ფრანგ მეჭოკეთა სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე, 29 წლის გალფიონი 5,75 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და ნაკრებშიც დაიბევა ადგილი.

„შვებით ამოვისუნთქე — სიხარულს ვერ მალავდა ოლიმპიური ჩემპიონი — ექვსი კვირის წინ ამას ვერც წარმოვიდგენდი, თუმცა შესარჩევ ტურნირამდე თავს ჩინებულად ვგრძნობდი და მეტოქეებზე არც ვფიქრობდი, მჯეროდა სიდნეის საგზურს მოვიპოვებდი“.

არანაკლებ გახარებული იყო მორის უვიონიც, რომელიც მედიასთან საუბრისას გამოტყდა, ჟანმა ისეთი მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მეეჭვებოდა დიეონში მისი წარმატებული გამოსვლისა, ახლა კი ყველაფერი ჩინებულადაა და ოლიმპიური მედლის დაუფლებაზეც ვიფიქრებთო.

პელოტონს მხედარქალებიც აედევნენ

ჩია ნეაპოლელმა ტელეკომი გათიშა

პელოტონის ყველაზე ტანდაბალი წევრის, იტალიელი სალვატორე კომესოს გამარჯვებით დასრულდა „ტურ დე ფრანსის“ მეთვრამეტე ეტაპი, შვეიცარიული ლოზანადან გერმანულ ფრაიბურგამდე რომ მოეწყო. საეკოლმა ოთხ სხვა მრბოლთან ერთად 240-კილომეტრიანი გაქცევა განახორციელა და ბოლოს სპრინტში დაჩაგრა ალექსანდრ ვინოკუროვი. უკანასკნელ კილომეტრზე იტალიელი და ყაზახი ნამკელ კატათაგვობანას თამაშობდნენ. კომესო ერთ მომენტში ლამის გაჩერდა კიდეც, რათა მეტოქე უკეთ გაეკონტროლებინა. მათი პაექრობის შემყურეს გეგონებოდათ, სატრეკო ველორბოლაა და არა საგზატკეცილო.

„ბევრი ვეცადე, რომ მის უკან აღმოვჩენილიყავი, რაც სპრინტის დროს იდეალური პოზიციაა, მაგრამ ისიც ძალიან მოხერხებულია. სპრინტი ერთობ დაძაბული გამოდგა და სულ მცირედით ვაჯობე მეტოქეს“ — თქვა კომესომ რბოლის დამთავრებისთანავე.

არადა, ვინოკუროვი გერმანული „ტელეკომის“ ღირსებას იცავს და ამ გუნდსაც ძალიან უნდოდა, შინაური ეტაპი მოეგო, მაგრამ არ გამოუვიდა. ფრაიბურგისკენ მიმავალ გზაზე გამოფენილ გერმანელებს „ტელეკომის“ ფერებით აჭრელებული, უამრავი დროშა და ჩაფხუტი დაურიგდათ, მაგრამ ვინოკუროვს მათმა ქომაგობამაც ვერ უშველა.

პირველი და წარმატებული შეტევა მეოთხე კილომეტრზე წამოიწყო ფრანგმა ჟაკი დიურანმა. „ლოტოს“ წევრს კომესოსა და ვინოკუროვის გარდა ფრანგი ჟან-სირილ რობენი (ბონჟური) და გერმანელი იენს ვოიგტი (კრედი აგრიკოლი) მიჰყვნენ. ეს უკანასკნელი პირველ კვირაში ძალიან აქტიურობდა, მერე კი ერთგვარად დაშოშმინდა და ეტყობა, ძალების შემონახვა გადაწყვიტა, რათა სამშობლოში მოგებისთვის ებრძოლა.

ლტოლვილები კარგად ურთიერთთანამშრომლობდნენ და ძალიან მალე საკმაოდაც დაშორდნენ პელოტონს. მათი უპირატესობა სწრაფად იზრდებოდა და ფინიშამდე 120 კილომეტრით ადრე 28 წუთსაც მიაღწია.

თუმცა კომპანიონთა იდილია გერმანიის საზღვრის გადაკვეთისთანავე დაირღვა. მრბოლებს 40 კილომეტრი უნდა დაეფარათ, როცა ისევ დიურანმა სცადა ბედი. მან მარტოობაში მოინდომა ეტაპის დამთავრება, მაგრამ ვერაფერს გახდა. მისი შეტევები უმალ გააუნებლეს მეტოქეებმა. სამაგიეროდ, კომესოს იერიშმა მიზანს უწია და მან ვინოკუროვთან ერთად დაწინაურება შეძლო. „ტელეკომის“ ფორმაში გამოწყობილი მრბოლის დანახვაზე მაყურებლები ხმის ჩახლეჩამდე აყვირდნენ, მაგრამ ამ ღრიანცელმა კომესო ვერ შეაშინა.

კომესო-ვინოკუროვის დუეტში ფრაიბურგში შესვლამდე თანხმობა და მშვიდობა სუფევდა. ისინი ძალიან ცდილობდნენ, წამოწევის საშუალება არ მიეცათ მდევართა კვლავ გაერთიანებული სამეულისთვის და ეს მოახერხეს კიდეც. ფრაიბურგში კი მათი ურთიერთგაგება ქიშპმა შეცვალა, სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო. ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე ყაზახმა სცადა, მოულოდნელი იერიში განეხორციელებინა, მაგრამ იტალიელი ფრთხილობდა და ეს არ გამოეპარა. ბოლოს კი თითქოს ტრეკზე ებრძოდნენ ერთმანეთს მრბოლები. სპრინტი უკანასკნელ 100 მეტრზე გაიმართა და კომესომ ნახევარი კორპუსით აჯობა მეტოქეს.

პელოტონმა მათთან 15 წუთზე მეტი წააგო, მაგრამ ამას საერთო ჩათვლის მოწინავეებში არანაირი ცვლილება არ მოუხდენია.

„ეს „ტურის“ საუკეთესო დღეა ჩემთვის“ — თქვა 25 წლის კომესომ, რომელიც 165 სანტიმეტრის სიმაღლისაა და „ტურის“ ეტაპი პირველად შარშან, გაპროფესიონალების მომდევნო წელს მოიგო. ნეაპოლელმა, ვინაც ახალგაზრდა გოგონების ყურადღების მისაქცევად მუდმივად იმეორებს, რომ დაუოჯახებელია (ისე, ამბობენ, სუსტი სქესის წარმომადგენლები კომესოს ძლიერ სწყალობენ), წლეულს „საეკოს“ პირველი გამარჯვებმ მოუტანა. აქვე გეტყვით, რომ „ტურში“ მონაწილე ოცი გუნდიდან ცხრას, მათ შორის საერთო ჩათვლაში პირველ-მეორე ადგილებზე მყოფი ლენს არმსტრონგის „პოსტალსა“ და იან ულრიხის „ტელეკომს“, ჯერჯერობით ერთი ეტაპიც ვერ მოუგია.

გაიოზ თალაძგაძე

მეთვრამეტე ეტაპი

ლოზანა — ფრაიბურგი

1. სალვატორე კომესო (იტალია, საეკო) — 6სთ 08წთ 15წმ
2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) — იგივე დრო
3. ჟაკი დიურანი (საფრანგეთი, ლოტო) — +1წთ 05წმ
4. იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი) — +1წთ 16
5. ჟან-სირილ რობენი (საფრანგეთი, ბონჟური) — +1წთ 16

საერთო ჩათვლა

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 82სთ 01წთ 18წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +5წთ 37
3. ხოსეა ბელოკი (ესპანეთი, ფესტინა) — +6წთ 38
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +6წთ 43
5. რიშარ ვირანჯი (საფრანგეთი, პოლტი) — +7წთ 36

ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია



„ტურმა“ შვეიცარიის შემდეგ გერმანიაშიც შეიარა, კერძოდ ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში, ფეხბურთის ქართველ ქომაგთათვის ნაცნობ ფრაიბურგში. აქ დაახლოებით 200 ათასი მაცხოვრებელია, განვითარებულია ქიმიური, საფეიქრო, ელექტრონტექნიკური, ქაღალდის, ხის დასამუშავებელი მრეწველობა და მანქანათმშენებლობა. მრავლადაა გამომცემლობები და პოლიგრაფიული დაწესებულებები. ფრაიბურგის უნივერსიტეტი მთელს დასავლეთ ევროპაშია განთქმული და სხვადასხვა ქვეყნებიდანაც ბევრი ახალგაზრდა ჩადის იქ ცოდნის გასაღრმავებლად. ქალაქის ძველ ნაწილს შენარჩუნებული აქვს შუა საუკუნეების დაგეგმარება. ახალი რაიონები უმთავრესად შენდება თავისუფალი განამენიანების პრინციპით. არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია გოტიკური ტაძარი (1200წ-XV საუკუნის დასასრული), რენესანსული შენობები — ძველი რატუშა (1556), ძველი უნივერსიტეტი (1567) და სხვა. ფრაიბურგი გერმანიაში ტურიზმის ერთ-ერთ ცენტრადაც ითვლება. აქაური ღვინოები საქვეყნოდაა ცნობილი. ფრაიბურგელები სპორტსაც დიდად წყალობენ. განსაკუთრებით ფეხბურთი და ველოსპორტი უყვართ. სამი ქართველი ლეგიონერის (იაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი) „ფრაიბურგი“ მართალია ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ბუნდესლიგის საშუალო კლუბი ნამდვილადაა.

რა აინტერესებს ქართველს ფრაიბურგში? იაშვილი და კობიაშვილი

ო, რა ძლიერ გამოვძეხი...

იან ულრიხი მუცელღმერთაა

იან ულრიხი

თავის მთავარ კონკურენტს ლენს არმსტრონგი პელოტონის უნიჭიერეს მრბოლად მოიხსენიებს. ლაპარაკია იან ულრიხზე, რომელმაც ამას წინათ განცხადა, მომავალ ზამთარში მზადების გეგმას შევცვლი, რათა „ტურის“ დროს უკეთეს ფორმაში ვიყოო.

„ჩემი მიზანი კიდევ ერთი „ტურ დე ფრანსის“ მოგებაა. ამიტომ მომავალი სეზონიდანვე ახლებურად მოვემზადები“ — თქვა ულრიხმა პრესკონფერენციაზე. 26 წლის მრბოლს, რომელიც სპორტს აღმოსავლეთ გერმანიაში ეზიარა, „ტური“ 1997 წელს მოუგია, ამჟამად კი იგი მეორე ადგილზეა.

„როცა ზედმეტს იწონი, ვარჯიში სიამოვნებას ვერ განიჭებს“ — მიაჩნია ულრიხს. წარმოშობით როსტოკელს ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები ძლიერ ჰყვარებია და სეზონებს შორის დასვენებისას ცდუნებასაც ვერ უძლებს. ზამთრის დასაწყისში ანი კუჭს იმხელა პატივს სცემს, რომ ვარჯიშის განახლებისას თავის იდეალურ სპორტულ წონას 14-16 კილოგრამით აღემატება. ზედმეტი კილოგრამებისგან გათავისუფლება კი რთული და მომქანცველი საქმეა, რაც ულრიხს ძალიან ეზარება და ისიც სეზონს მუდმივად ჭარბი წონით იწყებს, საუკეთესო ფორმას კი შემოდგომისთვის აღწევს. შარშანაც ასე იყო, როცა მან შემოდგომაზე ჯერ „ვუელტა“ მოიგო და მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატი ინდივიდუალურ რბოლაში.

ახლა „ტელეკომის“ ლიდერს გადაუწყვეტია, მადა მოთოკოს და ქანცის გაწყვეტამდე ივარჯიშოს. ოღონდ სტილს მაინც არ შევიცვლი, რადგან ასე „ტური“ უკვე მოვიგეო, აცხადებს ულრიხი. „მინდა, წლეულს მეორე ადგილი შევინარჩუნო და ინდივიდუალურ რბოლაში გავიმარჯვო“ — დასძენს გერმანელი.

„იანი ველოსპორტის ტალანტია. ზამთრის მზადებისას ცოტა მეტი სერიოზულობა რომ გამოიჩინოს, „ტურზე“ მის დამარცხებას ვერავინ შეძლებს“ — თქვა არმსტრონგმა, რომელმაც წლეულ მაინც იხვირა ულრიხის „ღორმუცელობით“. გაისად კი ვნახოთ.

გაგი გურული

ერთი დღის ისტორია

20 ივლისი

1934 წლის „ტურ დე ფრანსის“ დაწყებისას პელოტონში 20 წლის კანელი რენე ვიეტოც იყო. ხმებმა მის სიძლიერეზე სამხრეთ საფრანგეთიდან გააღწია და უკვე მთელი ქვეყანა იცნობდა ვიეტოს, როგორც პელოტონის ერთ-ერთ საუკეთესო მთიელს. იმ წელს იგი საფრანგეთის ეროვნულ გუნდშიც მოხვდა და გუნდის ლიდერის, ანტონინ მანის დახმარებაც დაევალა. ამას ხელი არ შეუშლია ვიეტოსთვის, მთებში თავი გამოეჩინა.

1934 წლის 21 ივლისს პერპინიანი-ლუშონის ეტაპზე ისეთი რამ მოხდა, რამაც მთელი საფრანგეთი აალაპარაკა. ეტაპის პირველ ნაწილზე პერპინიანიდან აქს-ლე-ტერმამდე მანმა თავისი მთავარი კონკურენტის ფიზიკური კონდიციების შემოწმება გადაწყვიტა და იტალიელ მარტანოს გვერდიდან არ მოსცილებია. რენე ვიეტომ კი თავის ლიდერს გაასწრო და მონლუის მთის მწვერვალს პირველმა უწია. დაღმართზე მრბოლები დიდი სისწრაფით დაეშვნენ და მანიც მაშინ გაექცა მარტანოს. ვიეტო მას დაელოდა, რათა გზა ერთად გაეგრძელებინათ, მაგრამ მის თვალწინ ასეთი სცენა გათამაშდა — მანმა ველოსიპედის კონტროლი დაკარგა და გზიდან ყირამალა გადაეშვა. ვიეტო მყის შეჩერდა და ლიდერისკენ გაიქცა. საბედნიეროდ, მანი არ დაშავებულა, მის ველოსიპედს კი წინა ბორბალი გაუტყდა. ვიეტოსაც არ უყოყმანია და თავისი ველოსიპედის ბორბალი მისცა თანაგუნდელს. ამით მან საფრანგეთის ნაკრების ლიდერს „ტური“ მოაგებინა, თავად კი „შეწირული კაცის“ მეტსახელი ირგუნა.

ᲨᲝᲠᲡᲛᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲑᲣᲨᲘ

ᲯᲝᲠᲯ ᲑᲣᲨᲘ უფროსი, — ვისი შვილიც მამის კვალზე სიარულს, ანუ ამერიკის პრეზიდენტობას ცდილობს — დამსახურებულ პენსიაზეა და ისვენებს. ფოტოზე იგი მანქანის ძარას ფლეგმატურად მიყრდნობილი ჩანს, ხოლო რაც არა ჩანს, გეტყვით: ამერიკის ექსპრეზიდენტი მეგოლფე გოგოებს უჭვრეტს ამერიკის ღია პირველობაზე.

ᲡᲐᲛᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

სამივე ფოტო ერთ ამბავს აღწერს — გერმანიაში, დრეზდენის მახლობლად ჩასულან 500 სმ³ კლასის მოტოციკლეტები და ვიდრე საწყენრიგის სარბიელზე „ჰოჰენშტეინის გრან პრის“ გაათამაშებენ, აფრიკელ ავადმყოფთა დასახმარებლად ქველმოქმედება უნებებიათ: კარლოს ჩეკა გერმანელ სპორტსმენებთან ფეხბურთის თამაშის დროსაა ასახული, მაქს ბიაჯი და ალექს ბაროსი კი ნაცლებად დაძქანცველ საქმეებს შებმიან. პირველი ინდიელ ბელადებში ჩამჯდარა, — რომელთა ზუსტი სახელები არ ვიცით და პირობითად „თეთრი ბიზონი“ და „მამაცი ტურა“ ვუწოდოთ — და მშვიდობის ჩიბუხს აბოლებს. ერთი „მკრთალსახიანიც“ (კოვბოი) იქვეა, ხოლო კითხვას, რა უნდათ გერმანიაში ინდიელებს, უპასუხოდ ვტოვებთ. ბაროსი თავისი ფანის სურვილს აკმაყოფილებს — წამოზნექილ ძუძუ მკერდზე ავტოგრაფს ახატავს.

ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲣᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ყველაფერი ბავარიულია — მინდორი, ხე-ტყე, გაკვრით რომ მოსჩანს და ცხადია, ლუდიც, „ბაიერნის“ თითოეულ თანამშრომელს კათხით რომ ჩაუბღუჯავს. გუნდში ერიოს იქნებ რამდენიმე ბავარიელი, მაგრამ აფრიკელი სამუელ კუფურის შესახებ ამის თქმა გაძნელდება.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

სთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲝᲫᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ᲡᲝᲡᲝ ᲙᲘᲗᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის განყოფილების გამგე ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge